სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 2 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 112 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 112

კონსტანტინე სტეფანეს ძე ვერიჩკა, სპირიდონ, სტეფანე, სოფიო და პავლე სანაძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 მაისს უდროვოთ და უეცრად მოჰყვა ორთქლმავალს ქვეშ სადგურ გომში კორესპოდენტი

მამენტი ივანეს ძე რუხაძე.

დაკრძალვა მოხდება სოფ. ჩხეინში.

დიდათ დამწუხრებულნი მშობლები ალათი და გიტო სამსონიები, ძმები: აპოლონ და ვახტანგი; დები: კატო, ნატაშა, მინადორა, ქალია და კეკელა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს 2 ივნისს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძიმითის წმ. კვირიკის ეკლესიაში (გურია). უდროვოდ გარდაცვალებულის პირველი ორის ძვირფასის შვილის და დანარჩენთა ძვირფასის ძმისა, ხონის გიმნაზიელის

ბარისა (ბორია) სამსონიას

სულის მოსახსენებლათ.

სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა

კვირას, 2 ივნისს 1918 წელს, დილით კოტე ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართულ სარევოლიუციო და ეროვნულ

ჰიმნ-საგალობელთა აკადემიური

კონცერტი

ასეულრიცხოვანი სიმფონიური ორკესტრისა და ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებული იქნება სანიმუშო თხზულებანი: ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, ქართული მარშები და სხვანი.

დასაწყისი დილის 12 საათზე. ✦ ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

აფიშები არ გამოვა.

## თავდაცვისათვის

საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებულია. ჩვენი ქვეყნის ეროვნული საბჭო, რომელიც დროებითი დამფუძნებელ კრების საქმეს ასრულებს—უკვე შეუდგა ახალ ძირითად კანონების შემუშავებას. საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობა ქვეყნის მართა გამგეობის საქმეს აწარმოებს.

პირველი საქმე, ახალ მთავრობის მოღვაწეობის მთავარი საგანი—რესპუბლიკის უზრუნველყოფა, დამოუკიდებლობის განმტკიცება. მაგრამ დამოუკიდებლობაც არის და დამოუკიდებლობაც. ოსმალეთმა რომ აისრულოს თავის მოთხოვნილება და ჩვენი რკინის გზა ჩაიგდოს ხელში, მან რომ ახალქალაქის და ახალციხის მაზრები შეიერთოს, ისეთი დამოუკიდებლობა შეგვრჩება ხელში, რომელიც ქაღალდზე უარესი იქნება. ვისაც რკინის გზა აქვს ხელში, ქვეყნის ბატონიც ის არის. ასეთივე ბატონი გახდება ჩვენი ნახევრათ ველური ოსმალეთი, რომლის ბრბოებს მარტო ძარცვა შეუძლიათ და არა წესიერების დაცვა. აჭარის და გურიის ამბებმა ამ მხრით ყოველივე მოლოდინს გადააჭარბეს და ცხადყვეს ყველასთვის, თუ რას უნდა მოველოდეთ ოსმალეთის შემოსევისაგან.

როგორც ვიცით, ოსმალეთის ულტიმატუმის ვადა უკვე გათავდა. მიუხედავათ ამისა ოსმალეთი არც ამ ულტიმატუმზე იღებს ხელს და არც შემოტევას იწყებს. ნატანებ ოზურგეთის ფრონტზე ჯერ მშვიდობიანობა არ დარღვეულა. ცხადია ოსმალეთი თავს ძალებს იკრებს და შემოტევისთვის ემზადება.

ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ძველი შეცდომები. არ უნდა ვიფიქროთ, რომ რაკი სამხედრო მოქმედება არ განახლებულა, ამიტომ არც შეტევას უნდა ველოდეთ ოსმალეთის მხრით.

მაგრამ კიდეც რომ არ სცადოს ოსმალეთმა ახალი წამოწევა, ჩვენ მაინც ვერ შევურიგდებით არსებულ მდგომარეობას. შეუძლებელია დავუშვათ, რომ ოსმალეთის ჯარი ოზურგეთის რაიონში დარჩეს.

ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ არა მარტო იმისათვის, რომ ოსმალეთის მოსალოდნელი შემოტევა მოვიგერიოთ, არამედ აგრეთვე იმისთვისაც, რომ თითონ შევუტიოთ და ოზურგეთის რაიონი დავაცლევინოთ.

ამიტომ საჭიროა სასწრაფოთ მოვახდინოთ ყველა ძალების მობილიზაცია. მობილიზაციის მოხდენა მთავრობის საქმეა და ის უეჭველია თავის მოვალეობას აასრულებს. მაგრამ სანამ სათანადოთ მოეწყობოდეს მთავრობის საჭირო აპარატი, დემოკრატიამ თითონ უნდა იდვას თავს მობილიზაციის გატარება, მთავრობის ორგანოების ხელმძღვანელობა. არც ერთი ჯანღონით სავსე მამაკაცი უსაქმოთ არ უნდა დარჩეს.

მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს დაიცოს სამშობლო და რევოლიუცია, მიაშუროს ფრონტს.

## მიეშველეთ ახალციხეს!

ერთად-ერთი ადგილი, სადაც თავგამოდებით იბრძვის ქართველი ჯარი, მტრის აურაცხელი რაზმებით გარშემორტყმული, ეს ახალციხეა. ყველგან მოხდა დროებითი მორიგება, ყველგან შეაჩერა ოსმალეთმა შემოტევა—მორიგების პირობის თანახმათ, მაგრამ ეს მორიგება არ არსებობს იმათთვის და იქ, სადაც ოსმალეთს სურს ახალი ტერიტორიის წაგლეჯა, სადაც მას მიზნათ აქვს ჩვენი ქვეყნის შესუსტება და განადგურება.

ახალციხე დღესაც ომის ასპარეზათ არის გადაქცეული. იგი ოსმალეთის ულტიმატუმშიაც ამიტომ არის მოთხოვნილი. ცხადია, ოსმალეთს სურს ფაქტის წინაშე დაგვაყენოს, მიუხედავათ მორიგებისა ახალციხე დაიპყროს და ასე შემდეგ შეიერთოს.

ახალციხის გარნიზონი თავზე მეტია გაალმასებული იბრძვის, სისხლის მორევში ცურავს, გარს უამრავი მტერი ახვევია. და ამ დროს ჩვენი ჯარი აწყურის მიდამოებში გაჩერებული თითქოს უძრავათ დგას. განა ეს მისათმენია? ნუ თუ მოძმეებს, რომელნიც იტანენ შიმშილს, წყურვილს, ტანჯვას და მტერს არ ნებდებიან ასე გულგრილათ უნდა ვუყუროთ და მისაშველებლათ ზომები არ მივიღოთ?

არ ვიცით იღებს თუ არა შესაფერ ზომებს მთავრობა, რომ ეს კუთხე, ურომლისოთ საქართველოს რესპუბლიკას კარები მუდამ ღია ექნება და წელში გაწყვეტილს დაემსგავსება, შეიარაღებულ ბრბოსაგან გაანთავისუფლოს? და თუ ასეთ ღონისძიებას არ იღებს, ეს უდიდესი დანაშაული იქნება ახალი რესპუბლიკას წინაშე.

ახალციხის ფრონტი ამ ჟამათ ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ფრონტია ჩვენთვის. მისი დაკარგვით ჩვენ ვკარგავთ ყველაფერს, ვკარგავთ რკინის გზას და თფილისსაც. მგონია ეს კარგათ უნდა ესმოდეს ჩვენს სამხედრო ძალების ხელმძღვანელთ და უნდა შესაფერი ღონისძიება მიიღონ. ჩვენ ველით საჭირო მოქმედებას.

## ვინ ღალატობს დემოკრატიას?

ჯერ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდენ მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები და შემდეგ, როცა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაიშალა, მათ საქართველოს წინააღმდეგ განაახლეს იგივე ბრძოლა.

ყოველი პარტია ეყრდნობა რეალურ ძალას, ხალხის იმ ნაწილს, რომლის მაც მას ნდობა გამოუცხადა. სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტია რუსეთის სოფლის უკულტურობამ და ჩამორჩენილობამ წარმოშვა და ჩვენი ცხოვრების პირობებში მას არასოდეს ნიადაგი არ ქონია. ის გაძლიერდა ჩვენში სრულიად შემთხვევით, რადგან აქ დაბანაკებულმა, აწ რუსეთში დაბრუნებულმა ჯარმა იცნო ის თავის წარმომადგენლათ. დღეს ეს პარტია ჩვენში უჯარო გენერლებს მოაგვანებს. მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის სამი მთავარი ერი—სომხობა, ქართველობა და მუსულმანობა რუსეთს ჩამოშორდა, წარსულ ჯარის პარტიას მხოლოდ კეთილ მასწავლებლის და მრჩევლის როლი უნდა ეკისრა, რისთვისაც მას ყველა მადლობას ეტყოდა. მაგრამ ის ასე არ იქცევა. მას სავსებით შეუთვისებია ცნობილ რუს მოხელეების ზნე-ჩვეულება და ერთი ერის მეორეს წინააღმდეგ ამხედრება უკისრია. ამ სამარცხვინო მოღვაწეობას დიდი ხანია ეწევა სოციალისტ-რევოლიუციონერთა ის ჯგუფი, რომლის ბეჭდვითი ორგანოა რუსული „ზნამია ტრუდა". ამ გაზეთის თითქმის ყველა წერილები ეროვნულ შუღლის გაღვივებას ემსახურებიან და რაც ყველაზე უფრო საკვირველია ეს შავრაზმული მოღვაწეობა ხდება ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ.

ყველაზე უფრო მტკივანი ადგილი ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში ჯერ ჯერობით სომხის ერის ბედია. და თავზე ხელაღებული დემაგოგებიც სომხის ერს ამხედრებენ ქართველების წინააღმდეგ. სომხებს ეუბნებიან: ქართველებმა გიღალატეს, ცალკე მოაწყვეს თავისი ცხოვრება, მიგატოვეს. მოყავთ ნოე ჟორდანიას ნალაპარაკევი სომხის ერის ხელმძღვანელებთან. სომხის დელეგატს უთქვამს: როცა გემი იღუპება, ვირთხები გარბიანო. თუ თქვენი გემი იღუპება, ჩვენ არ გვსურს თქვენთან ერთად დაღუპვაო.—უპასუხნია ჟორდანიას. ამ თემაზეა აშენებული „ზნამია ტრუდა"-ს ყველა წერილები მოწინავიდან დაწყებული უკანასკნელ ამბამდე.

მაგრამ „ზნამია ტრუდა" ამით არ კმაყოფილდება და შეგნებულ ღალატში სდებს ბრალს სოციალდემოკრატიულ ფრაქციას და მის წარმომადგენელს საზავო დელეგაციის ყოფილ თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელს.

ჩვენ არ გამოუდგებით საქმის ფაქტიურ მხარეს, რადგან ხელთ არა გვაქვს საზავო დელეგაციის მუშაობის მასალები. ვფიქრობთ ამისი დროც დადგება და მაშინ პირუთვნელი მკვლევარი ან მოსამართლე იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას და ჭორების ბურუსს გაფანტავს. ეს მომავლის საქმეა—მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ ვიკითხოთ: აქვს თუ არა ნება „ზნამია ტრუდა"-ს შეუმოწმებელი ხმები და საკუთარი დასკვნები სინამდვილეთ გაასაღოს და ერთი ერი მეორის წინააღმდეგ აამხედროს.

დღემდის კიდევ იფიქრებდა კაცი, რომ „ზნამია ტრუდა"-ს მართლა დემოკრატიისათვის შესტკივა გული და ამ უსაზღვრო სიყვარულის გამო შეუგნებლათ ებმება დემაგოგიის ქსელშიო. 31 მაისის ნომერმა საბოლოოდ უნდა გაფანტოს ყველა გულუბრყვილოების ეჭვები. ვინმე იური შოვინისტობაში გვდებს ბრალს და ესარჩლება... იცით ვის? ოსმალეთის იმპერიალისტებს.

გაზეთს სირცხვილათ არ ყოფნის ის, რომ საქართველოს რესპუბლიკა ახალქალაქის და ახალციხის მაზრებს თავის ტერიტორიის ნაწილებათ თვლის. აქ ის იმპერიალიზმის მეტს ვერას ხედავს. სტატისტიკური ცნობებით ამტკიცებს—ახალქალაქის მაზრა მოსახლეობის მიხედვით სომხეთს ეკუთვნის, ხოლო ახალციხის მაზრა—ოსმალეთსო.

რაშია საქმე? ნუ თუ ჩვენ მართლა იმპერიალისტები ვართ?

ჩვენ არ ვდაობთ, რომ ახალქალაქის მაზრა მოსახლეობით სომხეთს ეკუთვნის, მაგრამ ნუ თუ „ზნამია ტრუდა"-მ არ იცის, რომ ამ მაზრის გამო დავაა ჩვენსა და ოსმალეთს შორის? ჩვენ ვეკითხებით „ზნამია ტრუდა"-ს: რა სჯობია დემოკრატიისათვის და კერძოთ სომხობისათვის: ოსმალეთმა რომ შეიერთოს ახალქალაქის მაზრა თუ საქართველოს რესპუბლიკამ?

მემარცხენე ესერები ისე გაიტაცა ოსმალეთის ინტერესების დაცვამ, რომ იმავ სტატისტიკით ამტკიცებენ. ახალციხის მაზრაში 47 ათასი მუსულმანი სუნიტებია და მხოლოდ 9 ათასია ქართველებიო.

რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ზნამელებმა არ იციან, რომ ქართველი მაჰმადიანები იგივე ქართველებია კულტურით და ზნე-ჩვეულებით? გვაგონდება თვითმპყრობელობის პოლიტიკა აჭარა-ახალციხეში: ქართველ მაჰმადიანებს არწმუნებდენ: თქვენ რა გაქვთ ქართველებთან საერთო, თქვენ ხომ თათრები ხართო. ამასვე იმეორებენ დღეს „ზნამია ტრუდას" სოციალისტები, ასე მოჩმახული სტატისტიკით იცავენ ისინი ოსმალეთის ინტერესებს.

ამის შემდეგ მათ კიდევ შესწევთ გამბედაობა ინტერნაციონალის წმინდა დროშას ამოეფარონ, დემოკრატიის სახელით გამოვიდნენ?

რა აქვს საერთო დემოკრატიას სოციალიზმის სამოსელში გახვეულ შავრაზმელებთან?

## სურსათის საკითხის გამო

თფილისის მცხოვრებნი რაღაც მჭამლის მსგავსი ნაცხობით იკვებებიან, განსაკუთრებით ღარიბი ნაწილი საზოგადოებისა. მდიდრები და შეძლებულნი იოლათ ახერხებენ იმ ძვირი პურის ყიდვასაც, რომელსაც სპეკულიანტები მალამათ აწოდებენ გამვლელ გამომვლელთ ქუჩაში.

ამავე დროს ჩვენს გვერდით ახალქალაქის მაზრაში აუარებელი ხორბალია მოგროვილი და შეიძლება სულ მცირე ხანში ოსმალეთის ხელში გადავიდეს, თუ დროზე არ მივიღეთ რაიმე რადიკალური ზომები. ამბობენ, იქ ორ მილიონამდე ფუთი ხორბლის შეძენა შეიძლებაო.

როგორც მახსოვს, ამას წინეთ აპირებდენ იქ ფულის გაგზავნასაც ხორბლის შესასყიდათ. მაგრამ არ ვიცი, რა მოსაზრებით ეს საქმე შეფერხდა და დღესაც უმოძრაოთ არის მიტოვებული.

ყოვლად შეუწყნარებელია ასეთი მდგომარეობა. ყოვლად მიუტოვებელია, რომ მეზობელ მაზრაში პური ლპებოდეს მოუხმარებლობით, ხოლო თფილისი უპურობის საშინელ კრიზისს განიცდიდეს და კავკავის ქედ გზას, რომელიც ლტოლვილებით გაჭედილია, პირდაღებული შესჩერებოდეს.

მართალია, მცოდნე პირები ამბობენ, რომ ახალქალაქის მაზრაში მეტათ გავრცელებულია თავდასხმა, ბრბოები დათარეშობენ აქაიქ. მაგრამ განა საქართველოს რესპუბლიკას რამდენიმე ასეული შეიარაღებული ძალა არ მოეპოვება, რომლის გამოყვანა შეიძლებოდეს ამ მაზრიდან მომავალი გზის დასაცავათ და ტრანსპორტების გამოსაყოლებლათ? საგუბერნიო კომისარს უნდა ჰყავდეს 500—600 შეიარაღებული ცხენოსანი მილიციონერი, ამ მოკლე ხანში სეიმის მიერ მიღებულ კანონის თანახმათ. ჩვენ გვგონია შეიძლებოდა ამ რაზმის გამოყენება ასეთ საჭირო საქმისათვის.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ენერგიის გამოჩენა და მეტი ფხიანობაა საჭირო, რომ პური მუქთათ არ დალპეს, მაშინ, როდესაც მცხოვრებნი რაღაც ულაზათო მოხელილ ცომით იკვებებიან და იმაშიაც ორკეც ფასს იხდიან.

დროა მივიხედ-მოვიხედოთ გარშემო და საქმეს მეტი ენერგიით მოვეკიდოთ.

## ახალციხე და ჯავახეთი

ოსმალეთის მთავრობამ დაჟინებით მოითხოვა ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. ცხადია, სამხედრო მოქმედებაც ამ ადგილებში მომზადებული ექნებათ, რომ ბათუმის მსგავსათ ფაქტის წინაშე დაგვაყენოს და კითხვა იარაღით გადაჭრას. საყურადღებოა ვიცოდეთ, როგორ მდგომარეობაშია ეს მაზრები ეხლა და გვაქვს თუ არა იმედი ჩვენი ქვეყნის ამ საუკეთესო ტერიტორიის შერჩენის.

ახალციხის კითხვა დიდი ხანია მწვავეთ სდგას. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე ცნობილ სულთანოვის მეთაურობით აქ არსებობდა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ოსმალეთის ჯარების შემოსვლისათვის ნიადაგი მოემზადებიათ და ამ მიზნით სოფლებში გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდენ. თავისუფლების ხანაში ეს კიდევ უფრო ცხადი შეიქნა და ბეგების აგრესიული პოლიტიკა ლეგალურათ სწარმოებდა, ხოლო ეს ექვსი თვეა მათი მეთაურობით მაჰმადიანთა მასსა დანარჩენ მცხოვრებთა წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაში ჩაითრიეს. ბათუმის აღებამ ნიღაბი ჩამოხადა მაზრაში გაბატონებულ ბეგებს, რომელნიც აქამდე ჯერ კიდევ გაიძახოდენ ამიერ-კავკასიის მთლიანობაზე, მთავრობის მხარის დაჭერაზე და დემოკრატიულ პრინციპებზე. 5 აპრილიდან მთელ მაზრაში ფაქტიურათ ოსმალეთის აგენტები ბატონობენ და მაჰმადიანთა მერვე პოლკიც კი, რომელიც ამიერ-კავკასიის მთავრობის ჯარის ნაწილს შეადგენს, ამ ჟამათ აწყურთან გენერალ არეშევანიძის ჯარების წინააღმდეგ იბრძვის. თვით ქალაქი ახალციხე, სადაც ქართული მეცხრე პოლკი და სომხების ერთი ბატალიონი სდგას, შვიდი კვირაა ალყა შემორტყმულია ახალციხის ჩეტნიკების მიერ და გამოსავალი მოსპობილი აქვთ ბორჯომისკენ. თითქმის ყოველ დღე მოისმის ახალციხიდან ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, სოფლებს ადის კვამლი და დრო გამოშვებით კი ახალციხის ჯარი აწყურთან მდგარ ჩვენ ჯარს აძლევს ნიშნებს თავის გაჭირვების შესახებ. ცხადია ახალციხეს გამედმებით ესხმიან თავს, ხოლო ჩვენი ჯარი კი ჯერ-ჯერობით, გენერალ მაყაშვილის მეთაურობით მამაცურათ იგერიებს მტერს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თათრებმა ჯერ ვერ შესძლეს აღება. მთელ ახალციხის მაზრის 23 ქართულ სოფლებიდან გადარჩა დაურბეველი მხოლოდ ოთხი სოფელი, რომელნიც ახალციხის ახლოს მდებარეობენ. დანარჩენი სოფლები საშინელ სურათს წარმოადგენენ: სახლები დანგრეული და გადამწვარია, მცხოვრებნი ტყეებში და კლდეებშია გახიზნული. დედამ არ იცის სად დატოვა შვილი და შვილმა არ იცის სად იპოვოს დედა. მოთქმა, გოდება, ქვითინი, ძაძებით შემოსილი დედები და გადამწვარი სოფლების გაპარტახებული მიდამოები საშინელ მწუხარებას და უიმედობას გინერგავს გულში.

დარბეულ სოფლების მრავალი მცხოვრებნი ჯავახეთში გადმოხიზნულა. ულუკმა-პურო, უსახლკარო, უპატრონო დაეხეტება ეს ხალხი სოფლიდან-სოფელში და თვალცრემლიანი ითხოვს დახმარებას, ითხოვს იარაღს, რომ ნამუს ახდილმა, გაძარცულმა და განადგურებულმა წავიდეს მტრის წინააღმდეგ და თუ ვერ გაიმარჯვებს დაიხოცოს მაინც, გადარჩეს ამოდენა ტანჯვას და ვაებას.

აბასთუმანი, ზეკარი, აწყური და ასპინძა—აი უაღრესად სტრატეგიული პუნქტები, რომელნიც ხელთ უგდიათ მაჰმადიანებს და რკალივით შემორტყმიან ახალციხეში მომწყვდეულ ჩვენ ჯარს, რომელნიც განაგრძობენ თავგანწირულ ბრძოლას. ჯერ კიდევ სანამ გზები დაიხურებოდა, ზევრჯერ მსმენია მე ახალციხელ ქართველებისაგან: „ჩვენ ძველი მესხები ვართ, არავინ იფიქროს, რომ უსისხლოდ დავანებებთ მტერს ჩვენ კერას, ჩვენი ქვეყნის გულს". მე მაშინ ეს სიტყვები გადაჭარბებული ტრაბახი მეგონა, მარა ახალციხემ დაამტკიცა, რომ ის ღირსია ატაროს ძველი მესხეთის სახელი, მან ჩვენ გვიჩვენა თუ რაოდენი გმირობა შეუძლია თავგანწირულ მეომრებს, რომელთაც კარგათ აქვთ შეგნებული თავისი ოჯახის და ქვეყნის უბედურება თუ ოსმალეთის ურდოები შემოესევა და ააწიოკებს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ახალციხის მაზრაში მოქმედებენ არა მარტო ადგილობრივი ჩეტნიკები, არამედ მრავლად არიან აჭარლებიც, ხოლო მათ ზურგს უმაგრებს შავშეთის ცხენოსანი რაზმი. ეს ადვილი ასახსნელია. აჭარას და ახალციხეს თავიდანვე მჭიდრო კავშირი ქონდათ. როცა ბათუმის წინააღმდეგ აჭარლები იბრძოდენ, ახალციხიდან 5000 კაცი გაემგზავრა დასახმარებლათ, ხოლო დღეს კი აჭარლები სამაგიეროს უხდიან, აწყურთან და ახალციხესთან ეხმარებიან. ასეთია მოკლეთ დღეს მესხეთის მდგომარეობა. ბევრმა არ იცის, თუ რას მოგვიტანს ჩვენ ახალციხის დაცემა. ზოგნი ფიქრობს, რომ ახალციხე უმნიშვნელო ადგილია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის თუ ისე დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მაგ ფიქრობენ ისინი, ვინც არ იცნობს ახალციხის ისტორიულ მნიშვნელობას, ვინც არ

... დასავლეთ-გაჩაღებულ-
რებაში.

... საძარცვინო ბოძზე გააკრავთ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს გათვალისწინებული, თუ რა მოელის ახალციხის შემდეგ ბორჯომს და ზეკარით ქუთაისს. ამისთვის არის ჩვენი მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს დღეს აწყურის ფრონტს, მარა სამწუხაროთ ჩვენი ხალხი არ ფიქრობს ისე, როგორც ახალციხის და ჯავახეთის ქართველობა, რომელთაც მუდამ პირველათ ატყდებოდათ თავს უბედურება და სწორეთ ამისთვის არის, აგე გმირულათ იბრძვიან დღეს.

თუ ასეთია მდგომარეობა მესხეთში, არა ნაკლებ გამწვავებულია კითხვა ჯავახეთში. ახალციხის მაზრაში ბრძოლა უმთავრესად ქართველებსა და თათრებს შორის სწარმოებს. აქ კი ქართველ-სომეხ-თათართა კითხვა ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ყოველ ფეხის გადადგმაზე მთელი სიმწვავით სდგება. აღსანიშნავია, რომ ჯავახეთში მაჰმადიანობა ძალიან უმცირესობას შეადგენენ, თითქმის ამდენივეა ქართველები და დუხობორები, ხოლო უმთავრეს მასსას სომხობა წარმოადგენს. მკითხველს ალბათ ეხსომება გადამიჯვნის კითხვის გამწვავება ამ მაზრაში, როცა სომეხთა ეროვნულმა საბჭომ მაზრა ერევნის გუბერნიას შეუერთა. მარა ამ ცდას წინ აღუდგენ ქართველები, მაჰმადიანები, სომეხი კათოლიკეები და რუსები. სამწუხაროთ ყველა ამ მაზრებში გაბატონებულია ნაციონალიზმი. იქ სადაც საჭიროა შემათანხმებელი პოზიცია, ერთმანეთს ეხეთქება ყველა ერის ნაციონალისტთა შეურიგებელი პოლიტიკა, რომელიც გადადის მასაში და სამუდამო მტრობა და შუღლი ითესება. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქის მაზრის მაჰმადიანები, მცირედის გამოკლებით, არასოდეს არ ადგენ სხვა ერებთან მტრობის გზას, მარა სომხის ნაციონალისტების პოლიტიკა მუდამ იქეთკენ იყო მიმართული, რომ გაეტეხათ ხიდი ყველა ერის დემოკრატიას შორის და ოსმალეთის სომხებში ნაცადი პოლიტიკა აქაც გაემეორებიათ. ამის შედეგი დღეს თვალწინ გვაქვს: დაარბიეს თათრების სოფლები, სამაგიეროთ თათრებმა არტაანში მოაწყვეს სომხების ხოცვა ჟლეტა. დაატყვევეს ჯავახელი თათრები, ასეთივე ზომებს მიმართეს თათრებმა; ახალციხის მაზრის მაჰმადიანთა პოლიტიკაც აქეთკენ იყო მიმართული. პირველათ აოხრეს ქართული სოფლები, ხოლო შემდეგ, როცა შექმნეს მთლიანი ფრონტი, დაიკავეს ხაზი სოფ. სარო-ასპინძა-აწყურისა და ახალციხის მაზრა, გარდა ციხისა. და დღეს აქ ფაშები დათარეშობენ.

ჯავახეთის დაცვა შედარებით ადვილი საქმეა, ვინაიდან არტაანის ოლქში ოსმალებს რეგულიარული ჯარი არ ყავთ. 1877 წ. საზღვარზე სოფ. კარწახთან სომხების ჯარია, თვით ახალქალაქშიც სომხების პოლკი იდგა, ხოლო ქართული სოფლების ხაზი ახალციხის მაზრის საზღვარზე სოფ. ხიზაბავრა-საროქილდა გოგაშენისა ჯავახეთის ქართულ რაზმს უკავია. ეს რაზმი პირველ ბრძოლას უმართავს მუდამ მტერს. თვით სოფ. სარო, რომელიც ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს, ნანგრევებია თამარის დროის ციხეებისა. აქ ჩვენმა ჯარმა გადასწყვიტა მაჰმადიანთა დიდი ციხის ხერთვისის ბედი. დიდი ბრძოლა იყო 1 მაისს, როცა მოჰკლეს პოლკოვნიკი კობეშავიძე, მარა მტერმა ვერ შესძლო მაღლობების აღება და დიდი ზარალით უკუქცეულ იქნა. ჯავახელი ჯარი ყველგან მამაცურათ იბრძვის. თვით ამ ჯარის წარმოშობის ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს ხალხი თავმოყრილია არა სალაყბოთ, არამედ—საბრძოლველათ. ჩვენი ხელმძღვანელები მხოლოდ უკანასკნელათ მივიდენ აქ, დღემდი კი თვით ხალხი იყრიდა თავს თავის ფრონტზე, თავის კარ-მიდამოს დასაცველათ.

უკანასკნელმა ცნობებმა ახალ-ქალაქის აღების შესახებ ბევრში შეიძლება შიში დაბადა, მარა ეს სინამდვილე არ იყო. მტერი ჯერ არ მოდგომია ჯავახეთს. ეს იყო მაჰმადიანთა ბრბო, რომლის პირველი შემოტევის შემდეგ სომხების ჯარმა უკან დაიხია და ახალქალაქი დასტოვა. ყველას ეგონა, რომ მტერი მაზრაში შემოიჭრა, მარა მზვერავმა რაზმებმა გამოარკვიეს, რომ მაჰმადიანთა ბრბო 1877 წ. საზღვრებს არ გასცილებია. ქართული რაზმი არ მოსცილებია პოზიციებს და გამოქცეული ჯარიც აიძულა უკან დაბრუნებოდა ახალქალაქს. დღეს მაზრაში თითქოს მშვიდობიანობა დამყარდა, მარა ეს როდი კმარა, საჭიროა ძალების გამაგრება, რომ ორი უდიდესი და უმდიდრესი მაზრა არ დავკარგოთ. მათი შერჩენა კი შესაძლებელია შედარებით ცოტა ძალებით, ვინაიდან თვით ჯავახელები კარგი მეომრები, გაბედული ხალხი და მამაცები არიან. საჭიროა მათი გამხნევება, ცოტა ძალების შემატება და ამით ფრონტის უზრუნველყოფა. ჩვენმა მმართველმა წრეებმა უნდა იცოდენ, რომ ოსმალეთს ჯავახეთში იმდენათ მაჰმადიანთა დაცვა არ აინტერესებს, რამდენათ უთვალავი ხორბალი, რომელსაც შეუძლია ორი წლით მთელი საქართველოს გამოკვება.

მესხეთი და ჯავახეთი—აი საუკეთესო ნაწილი და გული ჩვენი ნორჩ რესპუბლიკისა. თუ დავირჩენთ ამ მაზრებს და აღვადგენთ წესრიგს, მაშინ უზრუნველყოფილია ჩვენი დამოუკიდებლობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში აწყური შეიქნება იგივე საბედისწერო ადგილი, როგორიც იყო ერეკლეს დროს.

**მგზავრი.**

# დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

1 ივნისი.

**მოსკოვის** რადიო-სადგურის ცნობა. სხვადასხვა ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ ადგილობრივი დეპუტატთა საბჭოები იტაცებენ სხვადასხვა ქონებას და ცენტრალური მთავრობის ნებადაურთველათ სარგებლობენ. სახალხო კომისართა საბჭო განმარტავს, რომ ევაკუაციის გამო გატანილი ქონება შეადგენს საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებას და უნდა მოხმარებულ იქნას საერთო სახელმწიფოებრივ საქმეზე ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით. ყოველივე თავისი ნებით მოქმედებას ამ საქმეში შეაქვს არა თუ არევდარევა, არამედ—ეს პირდაპირი დანაშაულობაა. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭო გადაჭრით მოითხოვს, რომ ადგილობრივი მთავრობა ასეთ საქმეებს არ კისრულობდეს. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე **სვერდლოვი**, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ულიანოვ-ლენინი**.

**მოსკოვი.** თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს და კოლეგიას.

მიღებულია ყოველგვარი ძალ-ღონე. ბუზულუკსა და ორენბურგს შორის კავშირი აღდგენილია. ახლო ხანში მივიღებ ცნობას, რომ კავშირი აღდგენილი იქნება ორენბურგსა და თქვენს შორის.

გზათა მიმოსვლის კომისარი **კობოზოვი**.

**ტაშკენტის** რადიო სადგურის ცნობა. სამხედრო ტყვეების დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით ყველა სამხედრო ტყვეები აღიარებულ იქნენ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომ მოქალაქეებათ. ამ მოქალაქეთა სახელმძღვანელოთ თანახმად სოციალიზმის პრინციპისა არჩეული იქნა მათ წრიდანვე 30 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი: ამ კომიტეტთან შეთანხმებით იმოქმედებს ჩვენი მომიტეტი. კომიტეტი ამ ჟამად შეუდგა თავის ამხანაგების სიის შედგენას, რათა ისინი, როცა მოსახერხებელი დრო იქნება და საერთო დეკრეტიც გამოიცემა, გადაგზავნილ იქნან სამშობლოში. ამის ცხოვრებაში გატარების დროს მრავალი დაბრკოლება გველობება წინ—როგორიცაა უფულობა, ყოფილი სამხედრო ტყვეების შრომის საფასურის მოუწესრიგებლობა, რომლებიც ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში მსახურებდენ ისეთივე უფლებებით, როგორც ჩვენი ქვეშევრდომნი. ამ დაწესებულებებში ყოფილი სამხედრო ტყვეები სარგებლობენ ბინით, საზრდოთი და ჩაცმა-დახურვით. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი აზრი—ჩვენი მოქმედება ამ შემთხვევაში სწორია თუ არა. გთხოვთ გადასდოთ საჭირო თანხა ყოფილი სამხედრო ტყვეების შესანახად იმ დაწესებულებებში, სადაც ისინი ამ ჟამად მსახურებენ. ტაშკენტის „სავდეპის“ თავმჯდომარე **ტობოლინი**.

**ვენა.** მტრის შემოტევა კაპოსილეს ჩრდილოსავლეთით მოვიგერიეთ.

**ბერლინი.** ნუონიდან რეიმსის დასავლეთ სამხრეთით ჩვენი შეტევის საქმე წარმატებით მიდის.

**პარიზი.** ფრანგების მარცხენა ფრთაზე ელეტის ოლქში გერმანელები განაგრძობდენ შეტევას. ნეილი-სენის სამხრეთით სუასონის დასავლეთით ფრანგები კონტრ-იერიშით მივიდენ, შეაჩერეს მტრის შეტევა და ზარალიც მიაყენეს. სუასონის დასავლეთით მტერმა წინ წამოიწია ცენტრში კი ნემეცთა პოლკები მარნის ნაპირებს მიუახლოვდენ შარტი-შოლგინის შუა.

**ბერლინი.** ჩვენი ჯარები მიიწევენ უაზუ და ელლეტისაკენ. უაზუს სამხრეთით ჩვენ დავიკავეთ ბრეტინის სად. ენის ჩრდილოეთით ჩვენ უკუვაქციეთ მტერი. სუასონის სამხრეთით ფრანგების კავალერია ძლიერი კონტრ-იერიშით მოვიდა, მაგრამ მტერი აქ ჩვენ დავამარცხეთ. ჩვენ გადავლახეთ სუასსონ-ხარტენერის გზა. ზურგში მტრის ძლიერ გამაგრებული პოზიციები გრანდ-როზონთან ჩვენ დავანგრიეთ. ფერ-ენტადენუას სამხრეთით ჩვენ მივაღწიეთ მარნამდე. შამპუაზის, ჟემის და როსლინის მაღლობები ჩვენს ხელშია. რეიმსის დასავლეთით ჩვენ დავიკავეთ ჟერმინი და ხილლუა. ტყვეები და სამხედრო ნადავლი თანდათან გვემატება. ჯერ-ჯერობით წამოვიყვანეთ 45 ათასი ტყვე, 400-ზე მეტი ზარბაზანი და 1000 მდე ტყვიისმფრქვეველი.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. გუშინ საღამოს ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ ინგლისელები იერიშით მივიდენ ზღვის ნაპირად. ყველა მათი შემოტევა ჩვენ მოვიგერიეთ. ყველა პოზიციები შეინარჩუნა ჩვენმა ჯარმა. იორდანეს ორივე ნაპირებზე სუსტი საარტილერიო სროლაა. მტრის კავალერიის ბანაკში იორდანეს დასავლეთ ნაპირად ჩვენმა არტილერიამ ყუმბარები ჩაყარა. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩაჰყარეს აჯანყებულთა ბანაკში ჯურუფის დასავლეთით.

# დეპეშა

**ახალციხის ფრონტზე**, აწყურთან მტერთან შეტაკების დროს დახოცილ გორის მაზრის წითელ გვარდიელებს, ამხ. ხაშიშვილის, რობაქიძის (პორუჩიკი) და მამულოვის ცხედართ მწარეთ დავსტირით.

რაზმის მონდობილობით **მარიამიძე.**

**ყვირილა.** ყვირილა-შორაპნის რაიონის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის საზოგადო კრება მხარს უჭერს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას. კრება გადაჭრით გამოსთქვამს სურვილს მიეტანოს ნორჩი რესპუბლიკის სამსხვერპლოზე მთელი თავისი ძალ ღონე და მით უზრუნველყოს ქართველი დემოკრატიის თავისუფლება, რევოლიუციის ეს უკანასკნელი პოზიცია. კრება მოუწოდებს მთელ დემოკრატიას მტკიცედ დაიცვას ეს უკანასკნელი სიმაგრე.

**აღმასრულებელი კომიტეტი.**

# ახალი ამბები

**ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კ. გვარჯალაძემ შემდეგი ბრძანება გაუგზავნა: შეცვლილი პოლიტიკური პირობების გამო ტელეგრაფით გადასაცემათ უნდა მიღებულ იქნას საქართველოს დემოკრატიული მთავრობის ცნობები და განკარგულებანი. გაუწყებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ არ მიიღოთ ცნობები გადასაცემათ მთავრობის ისეთი ორგანიზაციებისაგან, რომლებიც არ ეკუთვნიან ახლად შემდგარ საქართველოს ეროვნულ მთავრობას.

◆ **გერმანიის სამხედრო მისიის წარმომადგენელ გრაფ შულენბერგს** სადარბაზოთ ეახლენ 30 მაისს საღამოთი საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძე და მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე.

◆ **სომეხთა ეროვნული საბჭო** აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის სააგენტოს მიერ გადმოცემული ცნობა სომხეთის არარატის დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადება სინამდვილეს არ შეიცავსო.

◆ **რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა** გზებზე გაგზავნილ დეპეშით განმარტა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს მხოლოდ მთავრობის განკარგულებით გაიწვევენ ჯარშიო.

◆ **ლტოლვილნი.** მზრუნველობის მინისტრს 31 მაისს დეპეშით შეატყობინეს: გაეცით ბრძანება, რომ ლტოლვილების მიერ დაბანდებული მატარებლები სად. ნატანებზე, ლანჩხუთში, სამტრედიაში, ქუთაისში, საჯევახოში და ფოთში დასცალონ, ამ ლტოლვილებმა უარი სთქვეს მცხეთით კავკავისკენ წასვლაზე და ვაგონებს არ სცლიან.

◆ **მთავრობის დადგენილებით** სურსათის მიმწოდებელი კომიტეტი მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაუქვემდებარეს.

მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრს წინადადება მისცეს, პოლიტიკურ ხასიათის დეპეშები მინისტრ-პრეზიდენტის და შინაგან საქმეთა მინისტრის ნებადაურთველათ არ მიიღონ ტელეგრაფზე.

მთავრობამ დაადგინა ფოთის ნავთსადგურის მუშებისათვის 1 მილიონი მან. გადასდოს 10 მილიონიან ფონდიდან.

◆ **საქართველოს ეროვნული დროშა.** რადგან დღეს დიდი საჭიროებაა საქართველოს ეროვნულ დროშისა და ამისთვის, საჭირო მასალის შოვნა კი ძალიან ძნელია კერძო პირებისათვის, კულტურის და შრომის კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა თავს იდვას დროშების მომზადების საქმე და მიმართა სამხედრო მინისტრს თხოვნით, რათა კავშირს დაეთმოს დროშების მოსამზადებლათ საჭირო მასალა ინტენდანტსტვოსაგან და გამოკვების კომიტეტის საწყობებიდან. ვისაც ეროვნულ დროშის შეკვეთა სურს, უნდა წინდაწინვე აცნობოს თავისი სურვილი კოოპერატივ „დახმარებაში“ (ერევნის მოედანი) ირ. თაზიშვილს.

◆ **მთავრობამ** პრინციპიალურად დაამტკიცა შრომის მინისტრის მოხსენება საინტენდანტოს მუშების ჯამაგირის მომატების შესახებ.

◆ **რუსეთში** მიმავალ ოფიცრებს და სამხედრო მოხელეების დასაკმაყოფილებლათ მთავრობამ გადასდო 1,590,000 მან. იმ პირობით, რომ ოფიცრები და სამხედრო მოხელეები ჯამაგირის მიღებისთანავე წავლენ რუსეთში.

◆ **სურსათის საქმის** მოსაგვარებლათ მთავრობა ამ დღეებში საგანგებო თათბირს იწვევს.

◆ **საფრანგეთის კონსულმა** ბ-ნ ნიკოლამ მთავრობის თავმჯდომარეს განუცხადა, რომ შექმნილ მდგომარეობის გამო თავს მისიას დროებით შეწყვეტილათ სთვლის და ამიტომ ფრანგ-მოქალაქეთა ინტერესების დაცვა სპარსეთის გენერალურ საკონსულოს ავალებს. მაგრამ რადგანაც ბ-ნი ნიკოლა იმავე დროს შვეიცარიის კონსულიცაა, თავის მოადგილეთ, როგორც შვეიცარიის კონსულის, ბ-ნ ბერლემონს ნიშნავს.

◆ **სომეხთა ეროვნულ საბჭოს** ატყობინებენ, რომ შულავერს გარს შემორტყმენ შეიარაღებულ თათრების ბრბოები, ოსმალთა ოფიცრების მეთაურობით.

◆ **განჯიდან** „ჰორიზონ“-ის რედაქციას აუწყებენ, რომ ამ ჟამად იქ იმყოფება 7,000 ასკერისაგან შემდგარი ოსმალთა რაზმი 40 ზარბაზნით. ეს რაზმი მოსულა სპარსეთიდან შუშის მაზრით. ქალაქში სრული სიმშვიდეა. ნაზიმ ფაშას წინადადებით ადგილობრივ თათრებს იარაღი აჰყარეს, სომხებმა კი იარაღის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს. ნაზიმ-ფაშის ინიციატივით საგანგებო თათბირია შედგენილი სომხებისა და თათრებისაგან იარაღის აყრის საკითხის გადასაწყვეტად.

◆ **ძმ. ადელხანოვების ქარხანაში** 3 ივნისს განახლდება მუშაობა. იმ მუშებს, რომლებსაც მუშაობა არა სურთ, ქარხნის ადმინისტრაცია სალიკვიდაციო ჯამაგირს მისცემს. ხსენებულ ქარხნის აქციები სავაჭრო ბანკს შეუძენია.

◆ **ეროვნული კონცერტი.** ორშაბათს, 10 ივნისს (ახალი სტილით) ქართულ სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით მართავს პირველ ქართულ ეროვნულ კონცერტს, ეროვნულ ნაწარმოებთაგან ჩვენის კომპოზიტორების: დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ნ. სულხანიშვილის, კ. ფოცხვერაშვილის, ა. ყარაშვილის, ზ. ფალიაშვილის და ი. ჯაბადარის. კონცერტში მონაწილეობას იღებენ ოპერის მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი და ქ-ნი ო. კალანდაძე და ბ-ნი ვ. ლორთქიფანიძე. კონცერტის გამგეთ სამხედრო კავშირის მიერ დანიშნულია თავისუფალი მხატვარი და ვიოლინზე დამკვრელი ილიკო აბაშიძე. ბილეთები უკვე იყიდება კლუბის კასაში.

◆ **თფილისის რკინის გზის სადგურის** საწყობში ამ დღეებში აღმოაჩინეს ყუთში ჩადებული და ბაგაჟათ გასაგზავნი მიცვალებული. ეტყობოდა ტომით ქართველი ან სომეხი უნდა ყოფილიყო. ეს ბაგაჟი ოთხი დღის წინათ მიუტანია ვიღაც უცნობს გასაგზავნათ, მაგრამ შემდეგ აღარ გამოცხადებულა. მიცვალებულს სუნი გაუვიდა, ამის მიზეზით იქნა აღმოჩენილი. მიცვალებული რკინის გზის საავათმყოფოში გაგზავნეს.

◆ **მუშათა კლუბში** დღეს: სინემატოგრაფი; კლუბის წევრთა საზოგადო კრება.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიონის ბიუროს ბინაზე დანიშნულია კოლექტივის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება, ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება სომეხ ამხანაგების ს.-დ. მენშევიკების სასწრაფო კრება. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. აზატიანი. დასწრება ყველა ამხანაგებისთვის სავალდებულოა.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, მეოთხე რაიონის კლუბში (უდელნი ქუჩა № 3) გაიმართება მორიგი საუბარი პარტიის წევრებთან და თანამგრძნობლებთან მიმდინარე მომენტზე.

— დღეს, დილის 10 საათზე, კობის ქუჩაზე № 9, საზეითლო სამმართველოში დანიშნულია ქართულ ენის მცოდნე ბეითალთა და ფერშალთა კერძო თათბირი. ამხანაგებს ვთხოვთ დაესწრონ.

— პროფესიონალური კავშირის სადგომში დილის 10 საათზე დანიშნულია უმუშევარ ფარმაცევტთა საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 7 საათზე მოხდება ცენტრალური სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა კლუბის გახსნა (მიხაილ. პრ. № 91).

— დღეს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბის დარბაზში (მიხაილოვის პრ., № 65) მოხდება საერთო პროლეტართა კავშირის —(„იგლა“) მკერავების, მექუდე ქალების, მამა-კაცების, აზიური ტანისამოსის მკერავთა და მეკარსეტე ქალების კრება.

# პროვინციის ქრონიკა

**ხუფხა.** დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქ თავი იჩინა გადამდებმა სენმა როგორიც არის სახადი და სხ. სახადმა იმსხვერპლა სიმონ გოგოლიშვილი, მისი ცოლი და ვაჟი, ერთიც კი ეხლაც ავათ არის. ავათმყოფობის ამოსაფხვრელათ სასწრაფოთ იქნა ზომები მიღებული როგორც სამაზრო ისე კორპუსის ექიმებისაგან, მაგრამ საჭიროა ექიმების დარიგება თვით საზოგადოებამ განახორციელოს, თორემ შემდეგ გვიანღა იქნება.

**მარტვილის რაიონში** (სამეგრელო) იარაღის აყრა ენერგიულად სწარმოებს. საგანგებოდ გაგზავნილმა რაზმმა ზოგიერთ საზოგადოებას იარაღი უკვე ჩამოართვა. წინააღმდეგობა არსად არ გაუწევიათ. ბალშევიკებმა ცნობილი საშა გეგეჭკორის მეთაურობით თავი შეიყარეს სალხინოს საზოგადოებაში. ჩვენს რაზმს მათთან შეტაკება მოუვიდა და ის ნი გაიფანტენ. როგორც გადმოგვცემენ, ნაწილი კინჩხის საზოგადოებაში მოთარეშე ბრბოს შეუერთდა, ხოლო ნაწილი ზუგდიდის მაზრისაკენ გაიქცა.

# საქართველოს ეროვნულ საბჭოში

1 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობს **კარლო ჩხეიძე**.

თავმჯდომარე აცხადებს შემდეგ დღიურ წესრიგს: პრეზიდიუმის არჩევა, სხვადასხვა კომისიების არჩევა: მაგ., საბიუჯეტო, სამხედრო, იურიდიული, აგრარული, მუშათა საკითხის და სარეგლამენტო კომისიების. და შემდეგ მთავრობის განცხადება სახელმწიფო კანტროლიორის თანამდებობის დამტკიცების შესახებ.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს საბჭოს დაასახელოს პრეზიდიუმის წევრები. (რიცხვი წინა კრებაზე იყო განსაზღვრული).

სოციალისტ ფედერალისტები ასახელებენ თავმჯდომარის ამხანაგათ იოსებ ბარათაშვილს, ნაციონალ-დემოკრატები — ექვთიმე თაყაიშვილს. სოც.-დემოკრატები მდივნის ადგილზე ასახელებენ დ. ონიაშვილს. მის თანაშემწეთ—სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია ასახელებს ი. აბაკელიას.

კრება ამ წინადადებას უკამათოთ იღებს.

**თავმჯდომარე**: რამდენი კაცისაგან უნდა შესდგეს საბიუჯეტო კომისია; ს.-დემოკრატების ფრაქციას შეაქვს წინადადება საბიუჯეტო კომისია შესდგებოდეს 9 კაცისაგან.

**კ. აფხაზი** მოითხოვს, რომ კომისიას მიეცეს სხვა სახელი, რადგანაც საბიუჯეტო საქმეების გარდა; მან უნდა გაარჩიოს საფინანსო საქმეებიც, ის წინადადებას იძლევა კომისიას მიეცეს სახელად საფინანსო კომისია. შემდეგ ორატორი მოითხოვს საფინანსო კომისია შესდგებოდეს არა უმცირეს 30—35 კაცისა.

**ირ. წერეთელი** ამბობს, რომ ჯერ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია მოუწყობელია და განსაზღვრა ფუნქციებისა ჯერ-ჯერობით ძნელია, ამიტომ წინადადებას ვიძლევი კომისიას ეწოდოს საფინანსო—საბიუჯეტო კომისია. რაც შეეხება რიცხვს, მე საჭიროდ მიმაჩნია კომისია მხოლოდ 9 კაცისაგან შესდგებოდეს, ვინაიდან ჩვენ სეიმის მაგალითებიდან ვიცით, რომ, რაც მრავალრიცხოვანი იყო კომისია, მით უფრო ნაკლებ ნაყოფიერი იყო მისი მუშაობა: ხშირად კვორუმი არ იკრიბებოდა და სხვ. მასთან კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს მცოდნე პირნი რამდენსაც დაინახავს საჭიროდ.

თავმჯდომარე კენჭს უყრის ორივე წინადადებას.

დიდი ხმის უმეტესობით ირ. წერეთლის წინადადება იქნა მიღებული.

ფრაქციები ასახელებენ კანდიდატებს. დაასახელეს ცხრა კაცის მაგივრად ათი კაცი.

**ირ. წერეთელი** შეუძლებელია ყოველთვის დავა და კამათი იმაზე, თუ რომელ ფრაქციას რამდენი ადგილი ჰქონდეს. მე წინადადებას ვიძლევი კრება შეწყვეტილ იქნას 10 წუთით და ფრაქციებმა საბოლოვოდ მიიღონ ერთგვარი პროპორცია.

კრება შეწყვეტილ იქნა 10 წუთით. კრების განახლების შემდეგ ფრაქციები ასახელებენ კანდიდატებს. არჩეულნი არიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში: ევ. გეგეჭკორი, ნ. ელიავა, დ. თოფურიძე, ა. ჭიაბეროვი, ს. მდივანი, გ. ქიქოძე, ი. ლორთქიფანიძე, პ. ქავთარაძე და ვ. ვარაზაშვილი. სამხედრო კომისიაში: ნ. ჟორდანია, ევ. გეგეჭკორი, ვ. ჯუღელი, ბ. თევზაია, ი. გედევანიშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. მიქელაძე, კ. აბხაზი, გობეჩია. იურიდიულ კომისიაში: გ. ანჯაფარიძე, რ. არსენიძე, კ. ნინიძე, მ. რუსია, ი. გობეჩია, ი. ბარათაშვილი, ი. მაჭავარიანი, გრ. რცხილაძე, რ. ივანიცკი. აგრარულ კომისიაში: რ. ჩიხლაძე, კ. ანდრონიკაშვილი, კ. ნინიძე, ვ. ცაბაძე, მაჩაბელი, ჯავრიშვილი, თ. ღლონტი, ა. პაპავა, დ. ჩიქოვანი. მუშათა კომისიაში: ი. ბადრიძე, გ. ერაძე, მ. რუსია, ლ. შენგელაია, ერ. ტოროტაძე, რ. გაბაშვილი. სარეგლამენტო კომისიაში: რ. არსენიძე, კ. ანდრონიკაშვილი არ. ჯაჯანაშვილი, კ. მესხი, გ. ვეშაპელი.

**თავმჯდომარე**. სიტყვა ეძლევა მთავრობის წარმომადგენელს.

**გ. ჟურული**, ფინანსთა მინისტრი აკეთებს მოხსენებას ჩვენი სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, აღნიშნავს მის ჯერ მოუწყობლობას და მოითხოვს ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცოს სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა. მას მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, თუ რა პრინციპზე ირჩევა სახელმწიფო კონტროლიორი მონარქიულ და კონსტიტუციონალურ სახელმწიფოებში. მოითხოვს სახელმწიფო კონტროლიორი იყოს დამოუკიდებელი მთავრობისაგან და ეროვნულ საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი.

**ი. წერეთელი**. მე ვფიქრობ, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის საკითხი გადაიჭრას ჯერ საფინანსო საბიუჯეტო კომისიის ფინანსიურ მდგომარეობაზე მოხსენების შემდეგ.

კრება წერეთლის წინადადებას იღებს. საბჭოს სხდომის დანიშვნა დაევალა საბჭოს პრეზიდიუმს.

აკ. ს—ია.

# ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის

**ამხანაგების საყურადღებოთ.**

გასული წლის 5 მაისს შესდგა ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა საოლქო ყრილობა.

ამ ყრილობამ აირჩია საოლქო კომიტეტი, რომლის პირდაპირი დანიშნულება იყო მოსამსახურეთა პროფესიონალური ინტერესების დაცვა და ადმინისტრატიულ „პოსტზე“ მყოფი მეთაურების კონტროლის გაწევა, მაგრამ დროთა მსვლელობაში საოლქო კომიტეტმა დაივიწყა თავისი მოვალეობა, გადაუხვია თავის პირდაპირ დანიშნულებას და ხელში აიღო ადმინისტრატიული საქმეები.

ამ გვარათ, უკონტროლოთ დარჩენილმა საოლქო კომიტეტმა აღარ დაიცვა პროფესიონალური ინტერესები. ამას ნათლად ასურათებს მათი ერთი წლის მოღვაწეობა.

თანახმად სრულიად რუსეთის ყრილობის დადგენილებისა, რომელ კავშირშიაც შედიოდა ამიერ-კავკასიის ფოსტა ტელეგრაფის უწყება, არა უგვიანეს ამა წლის მარტის პირველ რიცხვებისა, უნდა მოეწვია ხელახალი ყრილობა, ზემო აღნიშნულ ყრილობაზე თავის წარმომადგენლების გასაგზავნათ. საოლქო კო-

მიტეტმა კიდეც დაგზავნა სათანადო ცირკულიარული დეპეშები ყრილობის მოსაწვევად, მაგრამ შემდეგ შესცვალა ეს გეზი და ყრილობის მოწვევა გადადვა განუსაზღვრელ დროსთვის. ამის მიზეზად დაასახელა, მიმოსვლის შეწყვეტა.—ყრილობაზე ყველა დელეგატების დასწრების შეუძლებლობა და სხ. ამით მან ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოსამსახურეთ წაართვა უფლება სრულიად რუსეთის ყრილობაზე ეთქვა თავისი სიტყვა.

დღეს კი, როდესაც საქართველო გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, ის იწვევს ამიერ-კავკასიის საოლქო ყრილობას, რომლის უფლება მას არ აქვს იურიდიული თვალსაზრისით, ფაქტიურათ ხომ ყოვლად შეუძლებელია.

ეს დასჭირდა საოლქო კომიტეტს, რათა უკანონოთ ეცნო საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა, რომელიც მოხდებოდა ფაქტიურად და ისევ გაწევრძო ძალა-უფლების მოტრფიალე „კარიე-

[illegible]

მოთქვა უკმაყოფილება საოლქო კომიტეტისადმი, მოიწვია ფართო კრება ჩვენი თანდასწრებით და გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოწვეულ იქნას საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა არა უგვიანეს 10 ივნისისა, რომ შევქმნათ დემოკრატიის ინტერესების დამცველი პროფესიონალური ორგანო, ბოლო მოვუღოთ საოლქო კომიტეტის უზურპატორულ მოქმედებას და ფხიზელი დარაჯი დავუყენოთ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების ქონებას, რომლის გაფლანგვას სამწუხაროთ ადგილი ჰქონდა.

ამის განსახორციელებლათ სექციამ გამოჰყო საორგანიზაციო ბიურო, რომელმაც შეადგინა სათანადო დეპეშა საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობის მოსაწვევათ, მაგრამ ეგრეთ წოდებული საოლქო კომისარის თანაშემწემ ბატონმა აგარონიანცმა უმართლოდ კონფისკაცია უყო დეპეშას, შეაჩერა ის, რომელიც შემდეგ მხოლოდ მთავრობის განკარგულებით იქნა გადაცემული დანიშნულებისამებრ.

საჭიროა დაუყონებლივ ხმა ამოიღოს საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის დემოკრატიამ, უარჰყოს ამ ვაჟბატონების თარეში, განცხადებით გამოუცხადოს უნდობლობა, პროტესტი საოლქო კომიტეტს და მოითხოვოს დემოკრატიის ინტერესებით აღჭურვილ ბიუროს დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

**ქუთაისის და ბათუმის დელეგატები.**

## მოვალეობის მსხვერპლნი

**ნოე სარჯველაძე.**

როდესაც 1889 წელში დაბადებულთა მობილიზაცია გამოცხადდა, ნოემ მესამე დღესვე მიაშურა ბათუმს. ის მისვლისთანავე ჩაეწერა საციხოვნო არტილერიაში. როდესაც თათრებმა ბათუმი აიღეს, ანარიის ფორტზე ის ხელჩართულ ბრძოლაში ხიშტით ვერაგულათ დაეცა. ნოე ლანჩხუთის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის მეოთხე კლასის მოწაფე იყო. დავკარგეთ ერთი საუკეთესო წევრი ს. ჯუნჯუათის ჭაბუკთა ორგანიზაციისა.

მშვიდობით, ჩემო საუკეთესო ამხანაგო! შენი ხსოვნა საუკუნო იქნება შენს ამხანაგებში.

ს. ჯუნჯუათის ჭაბუკთა ორგანიზაციის წევრი

**ვალ. ჯორბენაძე.**

## [illegible]ათი შობა საქართველოსი

[illegible] მაისი 1918 წლისა უდიდესათ მნიშვნელოვანი ისტორიული დღეა, ამ დღეს მოხდა [illegible] ისტორიული აქტი, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, კვლავ დაიბადა [illegible]ქართველო.

ისტორიული აუცილებლობა, თავისებურათ განაგებს ჩვენს ცხოვრებას, თავისებურათ სჭედავს ჩვენს ბედს და უბედობას; საერთაშორისო ისტორიის რკინის კანონები კვლავ იძულებულს გვხდიან ისევ ძველი, მაგრამ განახლებული ისტორიული გზით წავიდეთ.

როგორც ამ ას ჩვიდმეტი წლის წინათ ისტორიულმა აუცილებლობამ ჩვენ პოლიტიკური თავისუფლება დაგვიკარგა და რუსეთის მფარველობის ქვეშ მოგვაქცია, ამ ჟამათ იმავე აუცილებლობამ გვაიძულა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა; არსებობისათვის ბრძოლამ გადაგვადგმევინა ასეთი ნაბიჯი.

ამ ისტორიული აქტის დაფასება დღესაც ისეთსავე მწვავე შეხლა-შემოხლას და აზრთა წინააღმდეგობას იწვევს, როგორც ეს რუსეთთან შეერთების დროს იყო; დღესაც, როგორც მაშინ ორ, ერთი მეორის მოწინააღმ-

დიგე ბანაკათ არის დანაწილებული საზოგადოებრივი აზრი.

ძნელი და მძიმე ასატანი იყო წარსულში თავისუფლების და დამოუკიდებლობის დაკარგვა, მაგრამ ამ ჟამათ უფრო ძნელი, უფრო საბედისწერო და სათუოა ჩვენთვის ამ დაუფასებელი საგანძურის პოვნა, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადება გვიხდება მეტათ რთულს, საერთაშორისო პირობებში.

ვინ იცის, ვინ გაიმარჯვებს, ინგლისის, თუ გერმანიის კოალიცია, ვინ იცის, ვინ ვის რა მდგომარეობაში ჩააყენებს; ვინ იცის, რითი და როგორ დაბოლოვდება საერთაშორისო ომი და რა გზას დაადგება საერთაშორისო საზავო კონფერენცია; გვაქვს, ან გვექნება თუ არა საჭირო გარანტია და სხვა.

აი ის მტანჯველი, აწარე და მწვავე კითხვები, რომლებიც არ ასვენებენ ჩვენს ბელადებს.

ვინ როგორ აფასებს ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებას?

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხა-

[illegible]

ბისა, მისი დღეგრძელობისა?

საერთაშორისო კონფერენციამდე ასეთ გარანტიას იძლევა დღეს-დღეობით გამარჯვებული გერმანია, რომელიც ოსმალეთისა და რუსეთის წინაშე შუამდგომლობს და მოითხოვს ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარებას; უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს ძლევამოსილი გერმანიის შუამდგომლობა სუსტ მოკავშირისა და დამარცხებულ რუსეთისადმი ამაოთ არ ჩაივლის და შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

როგორც წარსულში რუსეთის მხრივ იყო საჭირო ჩვენთვის არსებობის გარანტია, ისე ამ ჟამად ისტორიულმა აუცილებლობამ რუსეთის დამარცხება-დაშლის შემდეგ გამოგვაძებნინა გამარჯვებული გერმანიის მხრივ გარანტია, რომელსაც იძულებული ვართ მაგრათ მოვეჭიდოთ.

ამით ჩვენი დამოუკიდებლობის კითხვა წინასწარ უკვე ისმება მომავალ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციაზე, რომელიც ამ საერთაშორისო ომის შემდეგ მეტათ დიდმნიშვნელოვანი, მთელი კაცობრიობის ისტორიისთვის შესანიშნავი, იქნებ გადამჭრელიც იყვეს.

ომისა და ზავის საკითხთან ერთად მჭიდროთ შეკავშირებულია სახელმწიფოთა დემოკრატიზაციის საკითხი და წვრილი ერების ბედი. ეს საკითხები მწვავეთ იქნებიან წამოყენებული ყველა მეომარ და ნეიტრალურ სახელმწიფოებში.

სამკვდრო-სასიცოცხლოთ მებრძოლი გერმანია და ინგლისი, მიუხედავათ იმისა თუ რომელი მათგანი გამოვა გამარჯვებული, საერთაშორისო კონფერენციაზე იძულებულები იქნებიან შესაფერი ანგარიში გაუწიონ წვრილ სახელმწიფოებს და ერებს; გამარჯვებულის მდგომარეობის განმტკიცება დამოკიდებული იქნება სხვათა შორის წვრილი ერების და სახელმწიფოების თანაგრძნობაზედაც, ხოლო ასეთი თანაგრძნობის მოპოვება კი შეიძლება მათი განთავისუფლებით, ან შეღავათის მიცემით.

ასეთ პოლიტიკას ახლავე ადგება გერმანია. ასეთსავე გზას იძულებული იქნება მისდევს ინგლისიც, რომელიც თავისი მრავალი ახალშენის თანაგრძნობის მოსახვეჭათ შეღავათს აძლევს მათ.

გარდა ამისა წვრილი ერებისათვის თავისუფლების მიმნიჭებელი კაპიტალისტური სახელმწიფო იმდენათ უფრო მეტ ბაზარს შოულობს და იფართოვებს, რამდენათაც მეტ წვრილ სახელმწიფოს, ან ერს თავისაკენ იზიდავს.

ერთ საუკეთესო საშუალებათ კი ისინი გამოიყენებენ წვრილი ერების განთავისუფლებას, მათი მდგომარეობის გაშეღავათიანებას, რომ ამით უკეთესათ შეიძლონ მათი ეკონომიური ექსპლოატაცია. პოლიტიკურათ თავისუფალ პატარა სახელმწიფოს და ერებს თავისი ძლევა-მოსილი კაპიტალით უფრო უკეთესათ დაიმორჩილებენ ეკონომიურათ და უფრო შეუმჩნევლათ გამოსწოვენ სიმდიდრეს. თვით დიდი რუსეთის სახელმწიფოებრივი არსებობა ხელს არ უშლიდა კაპიტალისტურ გერმანიას ის ეკონომიურათ დაემორჩილებინა და მისი დაუშრეტელი სიმდიდრე ეწოვნა.

მართალია ეკონომიურ დამორჩილებას პოლიტიკური დამორჩილებაც მოსდევს, მაგრამ როგორც თვით კაპიტალის სხვადასხვაობა, ისე სხვადასხვა გვარია პოლიტიკური ზედნაშენიც, პოლიტიკური დამოკიდებულება. იმ დროს, როდესაც სამრეწველო კაპიტალი დიდ სახელმწიფოს აიძულებს, რომ მან პატარა ერები და სახელმწიფონი დაიმონოს და თავის დარჯაკებში მოაქციოს, დღევანდელი ფინანსიური კაპიტალი, რომელიც დიდი სახელმწიფოების კოალიციებს ჰქმნის და მსოფლიო ბაზრის დასაპყრობათ ერთი-მეორეს ახლის, მოითხოვს წვრილი ერების და სახელმწიფოების თავისუფალ კარებს, რომ იქ დაბანდებული ფინანსიური კაპიტალი თავისუფლათვე აბრუნოს, ვაჭრობა-მრეწველობა გააჩაღებინოს და მით უზრუნველჰყოს სანატრელი სარგებელი.

ჩვენს პატარა დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში ფინანსიური კაპიტალის დაბანდებით უკეთესათ შეუძლიან გერმანიას სარგებლობა, თავისი ფინანსიური კაპიტალის ასეთი გზებით უზრუნველყოფა და ზრდა, ვიდრე ჩვენი ეკონომიურ-პოლიტიკური დაჩაგვრით და განადგურებით.

ამიტომაც არის, რომ გერმანია მხარს უჭერს ჩვენ დამოუკიდებლობას როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთისაგან; ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და თავისუფალი განვითარება მას, როგორც მახლობელს შედარებით ინგლისთან, სიმდიდრის ერთ წყაროს გაუმუდმივებს.

**ი. ირემაშვილი.**

## საუბარი მუშებთან და გლეხებთან

**ბალშევიკები და საქ. დამოუკიდებლობა.**

I.

მუშებო და გლეხებო! მე მსურს თქვენთან სულიერი კავშირი მქონდეს და ხშირად გებაასოთ დღევანდელ საჭირ-ბოროტო საკითხებზე, მსურს გადაგიშალოთ ჩემი აზრი და ფიქრები და იმედი მაქვს თქვენც ჩემს მიერ ნათქვამს ასწონ-დასწონავთ და შესაფერ დასკვნას გამოიყვანთ.

მაშ დავიწყოთ.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენს რევოლიუციას, რომლისგანაც ჩვენ მოველოდით მიწას, თავისუფლებას, ძმობა-ერთობა თანასწორობას და რომლისთვისაც არა ერთ საუკეთესო ამხანაგს უგემნია ციმბირის სუსხიანი ჰაერი, არა ერთი ამხანაგი გამოსალმებია წუთი სოფელს, თავიდანვე ორი მტერი გაუჩნდა.

პირველი იყო შინაური, მეორე—გარეშე.

შინაური მტერი ორგვარია: შეგნებული და შეუგნებელი.

შეგნებული მტერი იბრძვის თავის ინტერესების სასარგებლოდ, შეუგნებელი კი—სხვისი ინტერესების სასარგებლოდ, სწორედ რომ ვსთქვათ, საკუთარ ყელს საკუთარი ხელით იჭრის.

რევოლიუციის შეგნებული მტერია მემამულეები, ბანკირები, ზოგიერთი თავად-აზნაურები, ავაზაკები და ყველა ის, ვისაც რევოლიუცია რამეს ართმევს და მშრომელ გლეხობას აძლევთ; აგრეთვე ისინიც იყვენ მტერნი, რომელთაც თავისუფალ რესპუბლიკანურ სახელმწიფოში თავისი ბნელი საქმეების გაკეთება არ შეეძლოთ და ამიტომ რევოლიუციის დასამარებას, დამარცხებას ყოველნაირად ხელს უწყობდენ. აი ჩამოთვლილი ჯურის ხალხი არიან რევოლიუციის და, მაშასადამე, დემოკრატიის აშკარა შეგნებული მტრები, მათ იციან რას აკეთებენ და რისთვის აკეთებენ.

შეგნებული მტერი ჩვენს რევოლიუციას ვერაფერს დააკლებდა, რომ შეუგნებელ მტერს მისთვის ხელი არ შეეწყო.

ეს შეუგნებელი მტრები რევოლიუციისა თავის თავს ბალშევიკებს უწოდებენ და სხვა დანარჩენებს კონტრ-რევოლიუციონერებს.

თქვენ იცით, რომ განსაკუთრებით ბალშევიკები ფრონტზე ჩნდებოდენ. და იქიდან ევლინებოდენ სოფლებს, ქალაქებს.

თქვენ ალბათ ისიც იცით, რომ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და მათი მშობლები, მეზობლები, ძმები პირველ ხანებში ისე უყურებდენ ერთმანეთს, რომ გეგონებოდათ ესენი სხვადასხვა ტომის ხალხიაო. მე ვსვამ ამხანაგებო თქვენს წინაშე საკითხს: რამ გამოიწვია ის გარემოება, რომ ბალშევიზმმა მარტო ჯარისკაცებს შორის მოიკიდა ფეხი?

პასუხი ერთია: ომს მოესპობთ, პურს თავზე გადასაყარათ მოგცემთ, რასაც ხედავთ ეს ყველაფერი მუშების ოფლითაა გაკეთებული და ნება გაქვთ დაიტაცოთ, გაცარცვოთ, რის გაცარცვა შეგიძლიათ, გაყიდეთ, რის გაყიდვა შეიძლება; მაქსიმ გორკის თქმისა არ იყოს.

ამ დაპირებამ დააბრმავა ყოფილ ჯარისკაცთა დიდი ნაწილი და უცბად იბრუნა კეხი, დაგმო მენშევიკი და ბალშევიკად იქცა.

დაიწყო პოზიციის მიტოვება და ცარცვა გლეჯა გზაზე.

ეს რევოლიუციის დამარცხების პირველი უტყუარი ნიშანი იყო.

დაბრუნდენ სახლში და აქ მამა, ძმა და მეზობელი მენშევიკები რო ნახეს, ვერ მოითმინეს და დაუწყეს გადარწმუნება ხან სიტყვით, ხან ხიშტით (აბა ვის არ გადაარწმუნებს ხიშტები?). შეუგნებელი ნაწილი სოფლის გლეხობისა ასე ფიქრობდა: ჯარისკაცები ბევრ ალაგას ყოფილან, დიდი რამე უნახავთ და ალბათ ჭეშმარიტებას გვეუბნებიანო. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ყოფილი ჯარისკაცები წარამარა გაიძახოდენ, მენშევიკები კონტრ-რევოლიუციონერებია, მენშევიკები ბურჟუაზიის მომხრენი არიანო და სხვ.

თქვენმა ერთმა ნაწილმა ამას დაუჯერა, ამხანაგებო, და მით შეცდომის გზას დაადგა. რისთვის გვიწოდებდენ ჩვენ ბურჟუაზიის დამცველებს?

მისთვის, რომ სამინისტროში ბურჟუაზიის წარმომადგენელი იჯდა.

თქვენ ალბათ გაიგებდით, ამხანაგებო, რომ ბალშევიკების მეთაურმა ლენინმა საჯაროთ სთქვა, რომ ჩვენ ახლა ბურჟუაზია უნდა მოვიწვიოთ და მუშების საქმე უნდა ვაკეთებინოთო.

ამისთვის არ გვაცვამდენ ჩვენ ჯვარს? ამისთვის არ გვიწოდებდენ ჩვენ რეაქციონერებს, კონტრ-რევოლიუციონერებს და ვინ მოსთვლის კიდევ რას! მაგრამ დავანებოთ ამას თავი, ეს შორს წაგვიყვანს.

და ამ რიგათ დღეს სოფლის გლეხობის საგრძნობი ნაწილი „გააბალშევიკეს“ ტერორით, ძალით, მოტყუებით.

მერე მისცეს ხალხს თუ არა დანაპირები?

თქვენ თვითონ კარგათ იცით თუ რა მისცეს მათ ხალხს?

თქვენ მოწამე ხართ იმისა, თუ რა მოსდევს ფრონტის გატიტვლებას და თუ ვინ ზარალობს ამითი.

ს.-დემოკრატების წინააღმდეგ თქვენში საოცარ ხმებს ავრცელებენ: თითქოს ისინი ბურჟუაზიის მოსყიდული იყონ, თითქოს ისინი ხალხის მოღალატენი იყონ.

წითელი გვარდიის შესახებ რას არ გაიგონებთ, რა არ არის მოჭორილი, თითქოს ისინი თავად-აზნაურების მომხრე და ბურჟუების მიერ იყონ დაქირავებული. გული გიკვდება და სული გეხუთება ადამიანს, როცა ასეთებს ისმენ რევოლიუციის მედგარ დამცველ ადამიანების შესახებ.

ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო. თქვენ ალბათ გახსოვთ დამფუძნებელ კრების არჩევნების წინ, სწორეთ იმ დროს, როცა ბალშევიკებმა რუსეთში ჩაიგდეს ხელში მართვა-გამგეობა, ბალშევიკები ამბობდენ ჩვენ იმიტომ ჩავიგდეთ ძალა-უფლება ხელში, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევა დავაჩქაროთო. თქვენ კარგათ დაინახეთ თუ როგორ დააჩქარეს.

რუსეთში მოხდა ის, რაც არსად არ მომხდარა. ევროპის დემოკრატია, რომელიც უნდა ვაღიაროთ აშკარათ, ჩვენზე უფრო განათლებულია, დღესაც დამფუძნებელი კრებისათვის იბრძვის და ჩვენში კი ის ბალშევიკებმა გარეკეს.

თქვენ ის მაინც გახსოვთ, რომ. როცა ჩვენი საყვარელ ბათუმს ოსმალები ემუქრებოდენ, როცა ყოველი მხრიდან მოზღვავებული მტერი გვემუქრებოდა და განადგურებას გვიქადოდა, ჩვენ მოგიწოდებდით სამშობლოს და რევოლიუციის დაცვისაკენ.

ჩვენ გვინდოდა მტრისთვის ძალა დაგვენახებია და იქნებ მადა გახსნილ ოსმალეთის იმპერიალისტებთან საქმე მორიგებით გაგვეთავებინა, მაგრამ თქვენ, მუშებო და გლეხებო, მაშინ გეუბნებოდენ: არსად არ წახვიდეთ, ომი ბურჟუაზიის მოგონილია, თათარი არ გვებრძვის, ის გაჩერებულია და მენშევიკებს თქვენი ამოწყვეტა უნდათ და იმიტომ მოგიწოდებენ მობილიზაციისკენო.

ამხანაგებო, თქვენ თვითონ კარგათ იცით, რომ ბევრი თქვენთაგანი გაიტაცა ამ მოწოდებამ და უცბათ გაბალშევიკდა, რომ ჯარში არ წასულიყო.

ჩვენ შესაფერი ძალა ვერ უჩვენეთ მტერს და თუ რა შედეგი მოყვა, თქვენ იცით. როცა რევოლიუციონური დემოკრატია ბათუმში სისხლიდან იცლებოდა და თქვენგან (ცხება იმას, ვინც ღებულობდა მონაწილეობას ანუ თანაუგრძნობდა ბალშევიკების გამოსვლას) დახმარებას მოითხოვდა, ბალშევიკებმა დახმარების მაგივრათ შიგნით მოაწყვეს ფრონტი ცხინვალში, ბაქოში, სამეგრელოში და ზურგიდან მახვილი ჩაგვცეს.

განა ეს რევოლიუციის ღალატი არ არის?

განა ეს თავისი თავის ყელის გამოჭრა არ არის?

რამდენი ფაქტი გინდათ ასეთი. გადაფურცლეთ ამ უკანასკნელი 8 თვის რევოლიუციის ისტორია და თქვენ იქ აუარებელ საბუთებს იპოვით იმის დამამტკიცებელს, რომ ბალშევიკები დაპირების ხალხია და მეტი არაფერი.

ხი ამ შინაური არევ-დარევით და ანარქიით სარგებლობს გარეშე მტერი და შეხეთ ამიერ-კავკასია როგორ დააქუცმაცა.

ჩვენ გვაქვს უტყუარი ფაქტები, რომ ოსმალეთს უნდოდა სოხუმის ანარქიით ესარგებლა და დესანტი გადმოესხა შავ ზღვის ნაპირზე, მაგრამ დროზე მიუსწრო მთავრობის ჯარმა.

მუშებო და გლეხებო! თქვენ ღრმათ უნდა გწამდეთ, რომ წითელი გვარდია, ეს თქვენი ინტერესების დამცველია, ეს რევოლიუციის არწივებია, და ვინც მათ თქვენს წინაშე აბეზღებს, ის თქვენი მტერია.

ნუ აყვებით ომში წასვლის გულიზა გაბალშევიკებულ და დანაპირებებით დაბრმავებულ ხალხს. მათ არ იციან საქმის ნამდვილი ვითარება და ისე ეწევიან თავის საწინააღმდეგო საქმეებს, როგორც ზევით ვსთქვი საკუთარი ხელით ყელს იჭრიან.

დღეს ყველა აღელვებული ვართ, დღეს ისეთი ხანაა, რომ კარგი კაცი უნდა, რომ სიმართლეში გაერკვიოს. მაგრამ შორს არ არის ის დრო, რომ თქვენ შეიგნებთ ამ „მობალშევიკო“ ხალხის მოღვაწეობის ნაყოფს და სამარცხვინო ბოძზე გააკრავთ მათ.

საუკეთესო მსაჯული—ეს [illegible] ისტორიაა. ისტორია ნამდვილ[illegible] მათ „ღვაწლს“. ახლა კი თქვენივე ინტერესები მოითხოვს, რომ არ აყვეთ მათ და ანარქიას ხელი არ შეუწყოთ. რევოლიუცია დამარცხების გზას არ დაადგებოდა, რომ შიგნით დემოკრატიის რაზმში მთლიანობა არ დარღვეულიყო და გამთიშველი ძალა არ შემოჭრილიყო.

ამხანაგებო, მუშებო და გლეხებო, მე თქვენ გაგახსენეთ მხოლოდ ზოგიერთი მოღალატური საქმეები ჩვენებურ ბალშევიკებისა, იქიდანაც ნათლათ დაინახავთ მათ პოლიტიკის უვარგისობას, იქიდანაც გაერკვევით, რომ შიგნით ანარქიის შექმნით ისინი გარეშე მტერს ხელს უწყობდენ რევოლიუციის გასაგმირათ, დასასამარებლათ.

ამხანაგებო, თუ ოდესმე იყო მთლიანობა საჭირო, თუ ოდესმე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ერთსულოვნებაშია ძალაო, ეს დღეს შეგვიძლია მაღლა დავიყვიროთ და ვსთქვათ, რომ არასოდეს ისე არ ყოფილა მთლიანობა საჭირო, როგორც დღეს. თქვენ იცით, რომ ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაირღვა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა საქართველოს რესპუბლიკა.

**ანხანი.**

## რკინის გზაზე

**რკინის გზის სამართველოში.**

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებას ყველა ერის მოსამსახურეები გრძნობიერად შეხვდენ. აქ სჩანს ჩვენი ერის დემოკრატიის მიმართ კეთილი განწყობილება, —რუსები გაფაციცებით კითხულობენ—რა მოაგვლის თუ გერმანიის გავლენის ქვეშ დარჩა საქართველო. სომეხი მოსამსახურეები ჩინებულ განწყობილებაში არიან ჩვენთან. მოსამსახურეთა შტატის შემცირების ლოდინი, რომელიც ასე გაჭიანურდა, აწუხებს ყველას. ჯამაგირები თავის დროზე რიგდება თითქმის. დეკრეტის ძალით განსხვავების ჯამის სიების შედგენას ძლიერ აჩქარებენ და არა უგვიანეს 5—10 ივნისისა რკინის გზაზეც დაარიგებენ.

ლტოლვილი მოსამსახურეებით გავსილია სამმართველო, რაც ძლიერ უშლის ხელს მუშაობას. ამ დღეებში რკინის გზის მთავარმა კომიტეტმა მთელი კასები ჩაიბარა და შიგ ჩვენი ამხანაგები ჩააყენა. „არტელშჩიკების“ გამოცვლის მიზეზი ის იყო, რომ მათი სათავეები თანხა რუსეთში არტელს შერჩა. გულის ფანცქალით ელიან რუსი მოსამსახურეები ნაციონალიზაციას. კასებს და წესრიგს თვით სამმართველოს გვარდიელები იცავენ.

**საქარელი მ.**

**ამიერ-კავკასიის რკინის-გზის მთავარი კომიტეტის მოწოდება.**

26 მაისს შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო საქართველო იძულებული შეიქნა მიეღო დიდ-მნიშვნელოვანი აქტი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოცხადებისა და მით საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერები გადაერჩინა ფიზიკურ განადგურებისაგან.

როგორც ნათლად სჩანს იმ აქტიდან, რომელიც საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა, საქართველოს რესპუბლიკაში ყველა ერები თანასწორი უფლებებით ისარგებლებენ და არავინ არ დაიჩაგრება.

რაც შეეხება რკინის-გზაზე მოსამსახურეთ, მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ ის რჩება რა წინანდებურათ პროფესიონალურ ორგანოთ, თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს კავშირის პირდაპირი საქმეებით და თანასწორად დაიცავს ყველა ეროვნების ინტერესს. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მთავარი რკინის გზის კომიტეტი მოუწოდებს მოსამსახურეებს ნუ შესწუხდებიან რკინის გზის ზოგიერთი აგენტების ადგილიდან დათხოვით, ვინაიდან ეს ხდება არა ეროვნული, არამედ წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით.

## მუშათა შორის

**თფილისი.** 29 მაისს მცირე ს.-დ. კოლექტივის ინიციატორობით ტრამვაის სახელოსნოში მოწვეულ იქნა საერთო კრება. კრების საგანი იყო გასცნობოდენ იმ პოლიტიკურ ცვლილებას, რომელიც მოხდა 26 მაისს ჩვენი სურვილის წინააღმდეგ. მოხსენება გააკეთა ამხ. ანდრონიკოვმა რუსულ ენაზე, დაიწყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლათ გამოცხადებიდან. ამხანაგებო, როცა ჩვენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ამას ჰქონდა თავისი გამომწვევი მიზეზები, რომელიც თქვენც მოგეხსენებათ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ აქ მოსახლე ერებში ჩამოვარდებოდა მეტი სიმშვიდე, მეტი მეზობლური განწყობილება და შეერთებული ძალით დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაცვა, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრისაგან. მოლოდინი არ გაგვიმართლდა და ეს გამოჩნდა ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს. ჩვენს ოფიციალურ დელეგატების გარდა იქ იყვნენ არა ოფიციალური დელეგატები მუსულმანების ქ. სულთანოვის ხელმძღვანელობით, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს ოსმალეთს ამიერ-კავკასიის დანაწილება-განადგურებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ არ გამოგვიცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენ ძალა დაგვატანეს. შესაძლებელია ამით ვიხსნათ თავი ფიზიკური განადგურებისაგან. უკეთესი საშუალება არ მოგვეპოვება და ჩვენი მოვალეობაა ყველა საშვალებას მივმართოთ, რომ ნაწილი დემოკრატიისა მაინც თუ მთლად არა, გადავარჩინოთ ოსმალეთის შემოსევას. ამასთანავე მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ პატარა ერებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლათ არსებობა, სანამ არსებობენ კაპიტალისტური და იმპერიალისტური სახელმწიფოები. ამის მაგალითები ბევრი გვაქვს ჩვენ. ვფიქრობთ გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოვიქცეთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია ან ოსმალეთის, მაგრამ ჩვენ ვიცით უკანასკნელი რას წარმოადგენს. თქვენ შემეკითხებით, რატომ გერმანიას უნდა შევეუერთდეთ და არა რუსეთს. ამხანაგებო, რუსეთის ორიენტაციის ლოზუნგს დღევანდელ პირობებში მთელი ჩვენი განადგურება მოჰყვება, ეს თქვენც კარგათ იცით. რუსეთს არა აქვს ძალა ოსმალეთისაგან დაგვიფაროს. იქ ახლა ფხიზლდებიან, ახლა ახწევენ თავს ლენინის პოლიტიკას, რწმუნდებიან იმაში, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალა გარეშე მტრის წინააღმდეგ. ჩვენ მათ ვერ დავუცდით, უკეთ რომ ვთქვათ, მანამდე ბოლშევიკობით. ამ შემთხვევაში გერმანიას მეტი საშვალება აქვს აგვაშოროს ოსმალეთი. ჩვენ ვიცით, გერმანია ჩვენი გულისთვის ოსმალეთს არ შეებრძოლება, ომს არ გამოუცხადებს, მაგრამ მისი ეკონომიური ინტერესები მოითხოვს საქართველოს ტერიტორია არ ჩაუვარდეს ოსმალეთს ხელში. და აი ამისთვის ვარჩევთ გერმანიის ორიენტაციას მის მფარველობას, რადგანაც ყველა უბედურებას ეს უბედურება სჯობია. ერთ საყურადღებო მოვლენას აქვს ადგილი, რაც ღირსია გავიგოთ. დამოუკიდებლობის გამოცხადებას ქართველი ნაციონალისტები ზეიმით შეხვდენ, იმათ მიაღწიეს უკანასკნელ მიზანს. ამხანაგებო, ამ მხრივ ბევრი დემაგოგიას იქნება ადგილი, მაგრამ მუშათა კლასი გასცემს სათანადო პასუხს. ჩვენ არ ვზეიმობთ, ჩვენ გვაკვირვებს იმას, რისაც წინააღმდეგი ვართ, ჩვენ მაშინ ვზეიმებთ და ვიდღესასწაულებთ, როცა პროლეტარიატი მიაღწევს თავის უკანასკნელ მიზანს—სოციალიზმს; მანამდე კი, იზეიმებენ ჩვენი მტრები. მომავალი პროლეტარიატს ეკუთვნის. მაშ, გაუმარჯოს მას! შემდეგ იყო შეკითხვები. ყველა შეკითხვაზე ამხ. ანდრონიკოვმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ს—თე.

## ჯარისკაცთა წერილები

**ბათუმი.***) საგანგებო რაზმი ტფილისის ოლქის კომიტეტისა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი წავიდა ტფილისიდან სწორეთ იმ დროს, როდესაც ბათუმი უკანასკნელ დღეში იყო მტრის შემოსევისაგან. ტფილისში ბათუმის ამბებს ყოველ დღე ღებულობდა საგანგებო რაზმი, რაც ძლიერ აღელვებდა რაზმელებს. სასწრაფოთ შეიკრიბენ და დაადგინეს დაუყონებლივ წასულიყვნენ იქით, საიდანაც მტრი საფრთხე მოელოდა სამშობლოს. 1 აპრილს რაზმი გაემგზავრა ბათუმისაკენ. თუმცა რაზმი მრავალრიცხოვანი არ იყო, მაგრამ მისი სულიერი სიმხნევე დიდ იმედს იძლეოდა. 2 აპრილს გზაში შეხვდენ რაზმს ეშელონები ჯარისკაცები დატვირთული და შეიარაღებული, რომლებმაც გვითხრეს: ბათუმი დაეცა, იდგა თათრის ჯარებმა და აწი რაღა დროს ბათუმისაკენ წასვლაო. ჩვენ [illegible], რომ დავუჯეროთ. ამ ამბავმა რაზმში დიდი აღშფოთება გამოიწვია. რაზმმა წინადადება მისცა დაბრუნებულიყვნენ და რაზმთან ერთათ წასულიყვნენ გურიის საზღვრების გასამაგრებლათ, მაგრამ უარით უპასუხეს. რაზმი სასწრაფოთ მიეშურება გურიის საზღვრებისაკენ. კიდევ ხვდებიან გზაში ბათუმიდან მომავალი ჯარისკაცები და სიცილით ისტუმრებენ რაზმს და ეუბნებიან: აბა წადით, იქნება თქვენ უფრო მაგრა ბილოთ ბათუმიო.

რაზმი ჩავიდა ნატანებში. იმ დროს იქ არავითარი ჯარი არ იყო, გარდა ბიჭიკების რაზმისა 50 კაცამდე და გენერალი მაზნიევი, რომლის განკარგულებაში ვიყავით ყველა იქ მყოფნი. რაზმი იმ ღამეს დარჩა ნატანებში, მეორე დღეს, 5 აპრილს, გამოაცხადა რაზმელები გაგზავნეს მდინარე ოჩხამურის პირათ (5 ვერსზე ნატანებიდან) რიცხვით 70 კაცი. რაზმს თან წაჰყვა გენერალი მაზნიევი. ოჩხამურის ხიდზე იყო ჩავარდნილი ორთქლმავალი ჯავშნიან მატარებლისა, რომლისთვისაც „ჩეტნიკებს" გზა გადაუჭრიათ და ჩაუგდიათ. ამ რაზმის მიზანი იყო მუშების მუშაობა უზრუნველეყოთ თათრებისაგან დაცვით (მუშები მუშაობდენ ორთქლმავალის ამოსაღებათ). რაზმმა ოჩხამურისთან შესაფერი პოზიცია დაიკავა და მუშებმაც მუშაობას მიყვეს ხელი. ხანგრძლივი წვიმა და ქარი იყო. მტერი ჯერ არ მოჩანდა, მაგრამ ბევრიც არ დაიაგვიანა. ტყეში ჩასაფრებული მტრებმა შორიდან და სიმაღლეებიდან ტყვიებს ესროდნენ რაზმის პოზიციას, მაგრამ რაზმელებს იმედი არ დაუკარგავთ. მხოლოდ იმას ელოდნენ, მტრის ჯარი იერიშს როდის მოიტანს ჩვენზე. ზარბაზნების სროლის დროს მუშები დაფთხენ და გაქცენ. მაზნიევი და რაზმის უფროსი უკან წამოვიდა. უნდა ჯარი დაეხმარებიათ ჩვენთვის, მაგრამ ჯარი არსად იყო და რას დაგვეხმარებოდენ. მტერმა ზარბაზნით სროლა შესწყვიტა და მოიტანეს იერიში. რაზმელები გაშმაგებული იბრძოდენ და მტრის მოტანილ იერიშებს იგერიებდენ. ბრძოლამ გასტანა ხუთი საათი. მოგვიკლეს 8 კაცი, დაიჭრა 12 კაცი. მაგრამ დანარჩენი რაზმელები გულს არ იტეხდენ და იერიშს იერიშზე იგერიებდენ. აქვე უნდა აღინიშნოს რამოდენიმე პირების გმირული მოქმედება. პოდპ. გიორგი დოლიძე, მეორე ასეულის უფროსი იბრძოდა, ლომივით. აქვე დაეცა გმირულათ ბრძოლის ველზე პრაპ. კოლია შარაბიძე, რომელიც დროებით მთელს რაზმს უფროსობდა. უნდა აღინიშნოს კაპიტ. იმნაძის გმირული მოქმედება. და ბოლოს, როდესაც რაზმის უფროსის განკარგულებით რაზმი უკან წამოვიდა კ. იმნაძე მარტო ჩარჩა თათრებს ხელში, რომელმაც იქაც შესაფერი გმირობა გამოიჩინა და ერთ საათს მარტო ებრძოდა მტერს. შემდეგ შესძლო გამოსვლა უვნებლათ.

კა—მა.

*) ეს წერილი დაგვიანებით მივიღეთ.

## საადგილ-მამულო რეფორმა

**თელავის მაზრა.** საზოგადოთ კახეთი და კერძოთ თელავის მაზრა ძლიერ დაჯილდოვებულია ბუნებით. არც ერთი კუთხე ჩვენი ნორჩი საქართველოს რესპუბლიკისა არ იქნება ისეთი მდიდარი მეურნეობის მხრით, როგორიც თელავის მაზრა. კიდეც იმიტომ ძველ მთავრობას დაუარსებია სამი დიდი ეკონომია: მუკუზნის, ნაფარეულის და წინანდლის. უკანასკნელში, წინანდალში, ვეებერთელა ღვინის სარდაფია, სადაც ყველა მამულების შემოსავალი იყრის თავს. ამისათვის მაზრის საადგილ მამულო კომიტეტს დიდი ენერგიის გამოჩენა სჭირდება, რომ ამ სიმდიდრეს მოუაროს. მის ხელში გადადის მთელი ჩამორთმეული მამულები: კერძო მეპატრონეების ვენახები, საძოვრები, ტყეები. კომიტეტიც ზრუნავს: თანახმათ მესამე საგუბერნიო სესიის გადაწყვეტილებისა, კომიტეტმა მოიწვია ოთხი ინსტრუქტორი, გაჰყო მაზრა ოთხ რაიონათ და თითო რაიონში თითო ინსტრუქტორი დანიშნა. ამ ინსტრუქტორებს ევალებათ თვალყურის დევნა ჩამორთმეულ ადგილებზე, მათი განაწილება მცხოვრებთა შორის დასამუშავებლათ, პროპაგანდა-აგიტაცია რევოლიუციის და მიწის კანონის გარშემო და გლეხთა მეურნეობის ორგანიზაციების შეკრება. ამავე დროს ინსტრუქტორები ღებულობენ მონაწილეობას მიმღებ კომისიებში, როგორც წარმომადგენლები სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტისა.

ამ ჟამათ თელავის მაზრაში ოთხი მიმღები კომისია მუშაობს. წინანდლის, იყალთოს, ყვარელის და ნაფარეულის რაიონებში.

წინანდლის რაიონში ურიათ უბნის ნაწილი სრულიათ გათავებულია; მიმღები კომისია უკვე შეუდგა ქობულოვების და აბაშელიძოვის დიდი მამულების მიღებას შემო ხოდაშენში; იყალთოს რაიონში კომისია იღებს იარალოვის დიდ მამულს რუისპირში და ერისთავების ქისტაურში; ყვარელის რაიონში კომისიამ უკვე მიიღო ოთხი დიდი მამული საბუეში და გრემში დავით ჯორჯაძისა, ფონ შტეინის, იორამ ჯორჯაძისა და თამარა ჯორჯაძისა; კომისია გაემგზავრა ყვარელში პირველ რიგში დიდი მამულების მისაღებათ; ნაფარეულის რაიონის კომისია ჯერ ჯერობით იღებს მამულებს ს. კურდღელაურში, რადგანაც ადრე დაწყებული ქონდა და ჯერ კიდევ არ დაუსრულებია. ამ ნაირათ საქმე დალაგებულია. ახლა კომისიებს მართებს გამოიჩინონ ენერგია და რაც შეიძლება დაჩქარონ გატარება რეფორმისა. ეს იქნება საუკეთესო საშუალება ანარქიის ჩასაქრობათ და მკვიდრი დემოკრატიული პრინციპების დასამკვიდრებლათ.

— საერთოდ გლეხები კარგათ ეპყრობიან მიწის რეფორმას. მათში კმაყოფილებას იწვევს ის, რომ თავად-აზნაურობას ეცლება ნიადაგი ბატონობისა. არც თავად-აზნაურობა უწევს კომისიებს წინააღმდეგობას; გარეგნულათ ისინიც თანახმანი არიან რეფორმისა, მაგრამ გულში სულ სხვას ფიქრობენ. ზოგიერთი არც ფიცავს და გაიძახის: „თუ დადგა ჩვენი დრო და სხ." არის ისეთებიც გულის მოსაფხანათ ოქმზე აწერს: „კნეინა"...

— მაზრაში მიმოსვლა ძლიერ სჭირს. ამ მხრივ კომისიები ძლიერ ფერხდება. ერთი რაიონიდან რომ მეორეში გადაიყვანოს, მეეტლე ათ-თუთხმეტ თუმანს გახდევინებს. სიარული, დათვალიერება და ყურადღება საქმეებზე კი ძლიერ საჭიროა ემისრისთვის და საადგილ-მამულო კომიტეტის წევრებისთვის. არავითარ დახმარებას არ უჩენს ამ მიმოსვლის საქმეში ყოფილ საუფლისწულო მამულები. ამ მამულებში ისევ მეფობენ ძველი, ნიკოლოზის დროის მოხელეები. იმის მაგიერ, რომ იმათ კონტაქტში იმუშაონ საადგილ-მამულო კომიტეტთან, პირიქით, ისინი ხელს უშლიან. ერთ ერთ ყოფილ საუფლისწულო მამულში გამგემ მთელი სოფელი აამხედრა საადგილ-მამულო კომიტეტის წინააღმდეგ. გამგემ იჩივლა, რომ საბალახოს სოფელი მართმევსო. როდესაც საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარემ მიმართა გლეხებს, რათ სჩადიან ასეთ საქმეს და მოუწოდა დაეცვათ სახელმწიფო სიმდიდრე, გამგემ გლეხებს განუცხადა: მე საბალახე არ მჭირდებაო. ასეთი მაგალითები ბევრია. თითონ ყოფილ საუფლისწულო მამულების მოწინავე მუშებს ბევრი აქვთ გამგეების უმგვანო მოქმედებაზე შეგროვილი მასალა და შეყენებული ოქმებიც. გამგეები უფრო ამაყობენ იმითი, რომ მათ აღმოუჩნდათ საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტის სახით მფარველები. საოლქო კომიტეტში კი მოკალათებულან ისეთი პირები, რომელნიც, თავისი რწმენით, საადგილ მამულო რეფორმის წინააღმდეგიც არიან. ცხადია, ამ შემთხვევაში ისინი ძველს მფარველობენ, ძველ მოხელეებს კალთას აფარებენ და საერთო საქმეს დიდათ ვნებენ. მესამე საგუბერნიო სესიამაც მიაქცია ყურადღება საოლქო კომიტეტის შემადგენლობას: ის მოითხოვდა დაუყოვნებლივ რეორგანიზაციას, მაგრამ ჯერ ჯერობით ისევ ძველი პიროვნებები ტრიალობენ; დრო კი არ იცდის. ყოველი წუთი თვე არის და ყოველი დღე წელიწადი, დაყოვნება შეუძლებელია. უნდა რეორგანიზაცია მოხდეს საოლქო კომიტეტის, ან მთლათ გაუქმდეს. უკანასკნელი აზრი, მთლათ გაუქმება, ერთნაირ სარგებლობასაც მოგვიტანს. რომ ამიერკავკასია მთლიანი დარჩენილიყო, მაშინ საოლქო საადგილ-მამულო კომიტეტი, რასაკვირველია, აუცილებელი იქნებოდა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლები განიზომება თფილისის და ქუთაისის გუბერნიით. აქ საჭიროებას ეკარგება მნიშვნელობა, იმ მამულებს, რომლებსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, თვითონ სამიწათ-მოქმედო სამინისტრო უხელმძღვანელებს საგუბერნიო კომიტეტების დახმარებით ადგილობრივათ. რაც შეეხება სხვა ჩამორთმეულ მამულებს—ამათთვის არსებობენ ჯერ ჯერობით საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტები, რომლებიც ახლოს დგანან ხალხთან. შემდეგში კი ერობები გაუძღვებიან. ამნაირათ, საოლქო კომიტეტს ეკარგება ყოველივე მნიშვნელობა საქართველოსთვის; ის ზედმეტი ბარგია. რაც მალე მოსცილდება ზედმეტი ბარგი ჩვენ ახლათ აღორძინებულ სახელმწიფოს, მით მარტივი და მკვიდრი იქნება გამგებლობა, ამ მხარეს უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ. დაყოვნება—საქმის გაფუჭებას ნიშნავს.

ვ. ფერაძე.

## პროვინცია

**სოფ. ნორიო** (თფილისის მაზრა). გაზეთ „ერთობა"-ში № 80 იყო მოთავსებული წერილი „მუშა შოველის" სოფელ ნორიოდან. სხვათა შორის, ის ეხებოდა სწავლა-განათლების საქმეს. წერილში ნათქვამი იყო, რომ ნორიელები სწავლით პირდაპირ საცოდავნი არიანო. რა არის ამის მიზეზი? პირდაპირი ბრალდება წერილში, ვგონებ, მასწავლებლებს ედებათ! მაგრამ თქმა ადვილია და საქმის ვითარებით გარჩევა კი ძნელია. იქნება ზოგიერთმა იფიქროს, რომ ამ არევ-დარევამ შეუშალა ხელი სწავლა-განათლების საქმესო.

შემდეგი ფაქტები გვიჩვენებენ ამას: 1914 წ. იყო აქ ბ. ბოცვაძე და ხალხს წინადადება მისცა სამკითხველოს გახსნის შესახებ, მაგრამ აქაურებს ეს სიცილადაც არ ეყოთ. რის სამკითხველო, ჩვენ ამისთვის სადა გვცალიაო? ცოტა ხნის შემდეგ იმ დროის ყოფილმა ინსპექტორმა სთხოვა ხალხს, რომ მესამე მასწავლებლისათვის, რომელიც იქნებოდა აქ გამოგზავნილი, მიეცათ მხოლოდ ოთახი, შეშა და მოსამსახურე, მაგრამ ამაზედაც ცივი უარი იყო განცხადებული. წელს სამჯერ იყო გამართული საბავშვო წარმოდგენები სამკითხველოსთვის, რომ ხალხს პირდაპირ ძალით მისცენ ის, რის სარგებლობასაც ვერ ამჩნევს. მომავალ სამკითხველოსთვის საჭირო იყო გამგეობის ამორჩევა. განცხადებები, გაკრული საჩინო ადგილებზე 10 თებერვალს, ეხლაც იქ ობლად არიან, განა ზედ ვინმემ შეხედა? ამნაირად ეს კეთილი მონდომებაც დარჩა უსარგებლოდ. მასწავლებლები ყველა ამაში დამნაშავე იქნება იმდენათ, რამდენათაც მან ვერ შესძლო საერთო გულ-გრილობის დაძლევა.

ამ ჟამად აქ ისევ ერთ-კლასიანი სასწავლებელია, მიუხედავათ იმისა, რომ აქ სკოლა დიდი ხანია რაც არსებობს და გაივლის კიდევ იმდენივე ხანი, ვიდრე სახელმწიფო თავის ხარჯით ან სხვა საშუალებით არ მოაწყობს სკოლებს უკეთეს ნიადაგზე.

მასწ. მარიამ ცხვედაძე.

**ახტაფა.** ამას წინეთ ჩვენ გაემგზავრეთ სად. ახსტაფაში გოგუაძის მეთაურობით № 1 ჯავშნიანი მატარებლით ყაჩაღთა ბრბოს ასალაგმავათ. აქ მეტად სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი, გადმოვედით თუ არა მატარებლიდან მაშინვე დაგვიწყეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ხვეწნა: მოგვყიდეთ პატრონები. ვისთვის უნდა ამ ხალხს პატრონები, თუ არა ამ ყაჩაღთა ბრბოსთვის? ადგილობრივ მილიციას და გვარდიას მთავრობის განკარგულებით ჩვენ დავურიგეთ იარაღი და ტყვია-წამალი, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ვიღაცეებს ჰყავს ხალხი დაჩვეული, რომ ასე გვიბედავს პატრონზე ვაჭრობას. ამხანაგებმა მოვილაპარაკეთ, რომ თავისუფალი დრო მოგვეხმარა ასეთ პირთა დასაჭერათ. 19 მაისს უცბათ წავაწყდით ერთ მილიციონერს ვიღაც ვასო გუგუშვილს, რომელიც მალულად ჰყიდდა პატრონებს. იქვე დავატუსაღეთ ის. შეკითხვაზე, თუ რა გაჭირვება გადგათ, რომ პატრონების ყიდვას ეწევით, მან სთქვა: მე პატრონები წამოვიღე სხვისთვის, ის არ დამხვდა, დამიწყეს ხვეწნა, მომყიდე პატრენებიო, მეც შევცდი და მივყიდეო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს პირველი არ უნდა იყოს, ვინაიდან მას მუშტარი უკვე ჰყოლია და მისდა საუბედუროთ აქ არ დაუხვდა. უნდა იქნას ყოველივე ზომები მიღებული ასეთი პირების წინააღმდეგ. დამნაშავენი, როგორც სამშობლოს მოღალატენი, სასტიკათ უნდა იქნან დასჯილნი.

№ 1 ჯავშნიან მატარებლის „კამანდის" მონდობილობით კ. ვადაჭკორია.

## ფონდი

გრიგოლ ვასილის ძე ბურჭულაძისაგან მივიღე განსვენებულ ნათლია მისი სიმონ ბ. ბურჭულაძის სახსოვრათ გვირგვინის მაგივრათ ს.-დ. პარტიულ სტამბის სასარგებლოთ 30 მანეთი *) და სოფ. სამების სამკითხველოსთვის 50 მან. რომლებიც გადავეცი დანიშნულებისამებრ.

ი. გოგელია.

## ჩვენი ფოსტა

**ლანჩხუთი—ს. ჯუნჯუათი.** გრიგოლ სარჯველაძ ს—სია რედაქციაში არ მოგვეპოვება და ამიტომ თქვენს სურვილს ვერ ვაკმაყოფილებთ.

*) 30 მან. რედაქციამ მიიღო.

## იყიდება

პირველი ხარისხის რესტორანი თავის მოწყობილობით მოხერხებულ ადგილას. ცნობების მიღება შეიძლება ი. კ. რაზმაძესთან 11—2 საათამდე დილით და 6—8 საათამდე საღამოთი. თეატრის ქუჩა, № 4, სასტუმროების პატრონთა ბიურო. (3—1)

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

**ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო-საგოშვილია**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა, იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაბეზით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

**ექიმი ი. ვ. ძონიევი.**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარლისუბნის ქ. № 3.

**ექიმი ზ. დონხინი**

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის-ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—12 ნახ. საათამდე, საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი 76 (ხაიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38.

**ექიმი ნ. ა. ფოფხაძე**

მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 11.

**დ ხაჩხურეში ექიმის თანაშემწე ვ. ბ. ლაშხი**

იღებს ავადმყოფებს, უკეთებს კანქვეშ ნემსებს ციებ-ცხელებიანს, სისხლ-ნაკლებიანს და სიფილისიანს უკეთებს მასაჟს, უცრის ყვავილს, უხვევს ჭრილობებს და ათაშავს. მისამართი: რკინის გზის სადგურთან აბრამიშვილის სახლებში.

**იქვე ექიმის თან. ქალი მ. პ. ზაზარინა-ლაშხი** ღებულობს ავადმყოფ ქალებს და აძლევს დარიგებას.

**ექიმი ა. დ. ციციშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქ. № 14.

**ექიმი ზ. მ. მუხაძე**

იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი [illegible] ქუჩა № 57; [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 77

დღეს, 10 საათზე, მოწვეულია ავლაბრის რაიონის

## წითელ გვარდიელთა კრება

ვთხოვთ ამხ. წითელ გვარდიელებს აუცილებლათ დაესწრონ. კრება მოხდება შტაბის სადგომში.

## თევზი იყიდება ყოველ-გვარი

მეტად ხელსაყრელ ფასებში, როგორც პარტიობით აგრეთვე გირვანქობით. პირობების გაგება შეიძლება ახლად გახსნილ რკინის-გზის სასურსათო მაღაზია-საწყობში—ვოგზლის ქუჩა რკინის გზის სამმართველოს გვერდით.

აქვე შეიძლება შეიძინოთ საუკეთესო ხარისხის სილიოტკა. ქერჩისა და ასტრახანისა ტომატი პიურეზეთის ხილი „პიკული" და სხვა. 3—1

## ღარიბ მოწაფეთა შემწე

თფ. გუბერნიის ყოფილ თ.-აზნაურთა საზოგადოების

## წევრთა წლიური მორიგი კრება

დანიშნულია 2 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ქართული გიმნაზიის შენობაში.

განსახილველია: ა) საზოგადოების წლიური ანგარიში, ბ) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ქონებისა და სასწავლებლების მთავრობისათვის გადაცემის შესახებ და გ) ზოგიერთი საოჯახო და სასწავლო საქმეები.

**ქართული კლუბი.**

სამშაბათს, 4 ივნისს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს სასარგებლოთ ქართულ ძველი დასის მიერ წარმოდ. იქნება ცნობილი ოპერეტა

## არშინ მალ-ალან

ოპ. 4 მოქ. გაჯიბეკოვისა, თარ. ვ. გიგოშვილისა.

ასკარას როლს შეასრულებს მ. ჯანოევი, ანტრაქტებში იქნება სხვა და სხვა გასართობები: ფოსტა, ამერიკული აუკციონი, ყვავილები, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

დირიჟორი სიმონა. გამგე ვანო გიგოშვილი.

## სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა გიმნაზია

**მასწავლებელთა კოლეგიისა.** მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 ივნისს 2, 3 განყოფილებებში, 1, 2, 3, 4, 5 და 6 კლასებში, თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე.

ალექსეევის ქუჩა № 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

## ნავთი

თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მიმდ. წლის 3 ივლისის დილის 9 საათიდან განყოფილების სადგომში (რტიშჩევის და ბებუთოვის ქ.ქ კუთხე) დაიწყება ნავთის ორდერების გაცემა რაიონულ და სახლის კომიტეტებზე.

ორდერები მიეცემა სახლის კომიტეტებს სპეციალურ ნავთის ბარათების ან და ახალი სასურსათო ბარათების წარდგენის შემდეგ. თვითეული კომიტეტი ნავთს მიიღებს არა ნაკლებ ათი ფუთისა (თვითეულ ათ დღიურ რაციონზე კი მიეცემათ 2 გირვანქა).

ძველ სპეციალურ ნავთის ბარათების ტალონებში გამოდგება ყველა ჯერ მოუხმარელი ტალონები. ახალი სასურსათო ბარათების ტალონებში გამოდგება მხოლოდ ერთი „1—10 აპრილის" ტალონი. დანარჩენი ჯერ-ჯერობით არ გაუქმებულა.

ნავთის ნიხრი: საწყობებში ფუთი 7 მ. 25 კ. სახლის კომიტეტმა გირვანქა უნდა გაყიდოს 27 კაპ.

2—2 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება